ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია.
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№78 (1588) 2-4 აგვისტო, 1997 წელი

## შავი სია

დიდი ხანია დადიოდა ხმები იმის შესახებ, რომ გამსახურდიას დროში შეიქმნა შავი სია იმ მოღვაწეებისა, რომელთა დაპატიმრებასაც აპირებდა იმდროინდელი ხელისუფლება. „შავი სიის“ შესახებ პირველად ტელევიზიით განაცხადა იმდროინდელმა გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ, რომელმაც კატეგორიული უარი განაცხადა შავ სიაში დასახელებული ხალხის დაპატიმრებაზე და თანამდებობიდან გადადგა.

ეს „შავი სია“ შემდეგ დავიწყებას მიეცა.

ახლახან კი უშიშროების სამინისტროს გარშემო ატეხილ ამბებთან დაკავშირებით „შავი სიის“ საკითხი კვლავ წამოიჭრა, იმასთან დაკავშირებით, რომ მის შედგენაში ბრალი ედება უშიშროების მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს, რომელიც დღესაც პოსტზეა „სამშობლოს საკეთილდღეოდ...“

გთავაზობთ შავი სიის სრულ შემადგენლობას ერთი ხუმრობანარევი კორექტივით, მე რას მერჩოდა ის ცხონებული, თორემ, როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაამტკიცა, ამ სიის ზოგიერთი წევრი მართლა რომ დაეჭირათ, იქნებ შემდგომ უბედურებებს გადავრჩენილიყავით...

**ნოდარ გრიგალაშვილი**



1. სიგუა
2. კიტოვანი
3. ხოშტარია
4. წერეთელი
5. ნათაძე
6. გოგუაძე
7. კვარაცხელია

1. ძმები შენგელაიები
2. ღოღობერიძე ლანა
3. ადამია
4. ხავთასი
5. პაატაშვილი
8. ჩორგოლაშვილი
9. ურიდია
10. მელაშვილი
11. ჩარკვიანი
12. ფანჯიკიძე
13. იმნაძე
14. კოღუაშვილი
15. ჩხეიძე რ.
16. გოგელია
17. გრიგალაშვილი (რედაქტორები)
18. გოცირიძე
19. ბერძენიშვილი
20. ბობოხიძე
21. დიასამიძე
22. კვაჭანტირაძე

დღეს 19 ნოემბრის 3 საათამდე პირველ შვიდ კაცზე უნდა იყოს დაპატიმრების სანქცია, დანარჩენებზე 2-3 დღის განმავლობაში.

გავაუქმებ გლდანის და ნაძალადევის რაიონის პროკურატურებს, თუ ისინი დაკითხვაზე დაუძახებენ გვარდიელებს, არავის არ ეკითხება რას გააკეთებს ჩემს მხარეზე მდგომი გვარდიელები.

## საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება

### აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობისა და საქართველოს ინტერესთა დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ

როგორც დღეს საყოველთაოდ ცნობილია, საქართველოს დამარცხება 1992-1993 წლების ომში აფხაზეთში, ქართველი მოსახლეობის დატოვება ეთნიკურ წმენდასა და გენოციდზე ორიენტირებული ხროვის ხელში და ამით გამოწვეული მრავალ ათეულათასიანი მსხვერპლი ამ მოსახლეობაში, აფხაზეთის თითქმის სრული დაცლა ქართველებისაგან და ტერიტორიის დემოგრაფიული ათვისების დაწყება უცხო ეთნიკური ელემენტის მიერ, საქართველოს უმაგალითო დამცირება და სახლ-კარიდან ძალით გამოდევნილი ტანჯული მოსახლეობის იმედგაცრუება ოთხი წლის მანძილზე განაპირობა საქართველოს ხელმძღვანელობის უუნარო და ხშირ შემთხვევაში შეგნებულად ანტიქართულმა და ანტისახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ წლების მანძილზე, რომლის ძირითადი ნიშანსვეტები იყო:

– აფხაზეთში ქართულ-აფსუური შეიარაღებული კონფლიქტის დაშვება (მისი აცილება შესაძლებელი იყო);

– საქართველოს შეიარაღებული ძალების მოძრაობის (წინსვლის) წინასწარგანზრახული შეჩერება სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით და ტყვარჩელის სამხრეთ-აღმოსავლეთით;

– აფხაზეთის მიმდებარე რაიონების წინასწარგანზრახული სისხლიანი დარბევა ბანდფორმირებისა და ოფიციალური საჯარისო ნაწილების მოქმედებით, რამაც საბრძოლო ოპერაციების ზურგის წინასწარგანზრახული მოშლა და კომუნიკაციების წინასწარგანზრახული ბლოკირება გამოიწვია;

– შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის შეგნებული არსებითი ჩაშლა ომამდე და ომისშემდგომ წლებში.

– რუსეთის მიერ აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის წარმატებისათვის ხელსაყრელ პოლიტიკურ პირობათა შექმნა იმის წყალობით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არ გამოთქვა პროტესტი რუსეთისათვის საპროტესტო ოფიციალური ნოტების გადაცემით, მისთვის აგრესიის შეწყვეტის ულტიმატური მოთხოვნის წაყენებით და მისი აგრესიის თაობაზე გაეროსათვის ოფიციალური მიმართვით;

– აფსუა სეპარატისტებთან და რუსებთან იმთავითვე დასარღვევად განწირული შეთანხმების საფუძველზე (1993 წლის 27 ივლისი) საფრონტო ზოლიდან მძიმე შეიარაღების გამოყვანა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა სოხუმის დაცემაში;

– სოხუმში 1993 წლის აგვისტოში მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის შეყვანა და მისი არგამოყვანა 14 სექტემბერს საბრძოლო მოქმედების განახლების შემდეგ, რაც გენოციდის პირობათა შემქმნელი ძირითადი ფაქტორი გახდა;

– სოხუმიდან ენგურამდე სათადარიგო თავდაცვითი ზღუდეების არმომზადება, რაც ორი დღე-ღამის მანძილზე გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებიდან პანიკური უკანდახევის საფუძველი გახდა;

3

## ჯანსუღ ჩარქვიანი: ნოდარ, „მოკალ“ ის პარტია...

2

## ნოდარ გრიგალაშვილი: ჯანსუღო, ჩემო ჯანსუღო, შენ რომ წვებოდი, ვინ „გკლავდა?“

2

## სარიშვილი — ბანდიტების ახალი ქომაგი?!

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიტერატურული დუელი

# გაბაასება ჯანსუღ ჩარკვიანისა და ნოდარ გრიგალაშვილისა

### ჯანსუღ ჩარკვიანი:

## ნოდარ, „მოვკალ“ ის პარტია...

1997 წლის 19–22 ივლისს ბატონების – ნოდარ გრიგალაშვილისა და ნოდარ ნათაძის გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილია ჩემი სურათი (მარცხნივ), ლენინის (მარჯვნივ) და შუაში კიდევ რედაქტორის ნოდარ გრიგალაშვილის პატარა ტყუილი, რომელსაც მოსდევს ჩემი დიდი ლექსი – კომუნისტური პარტიისადმი მიძღვნილი. ამ ლექსს ვერ იხილავთ ვერც ჩემს „რჩეულში“, ვერც ჩემს „ერთტომეულში“ და ვერც ჩემს „ორტომეულში“. მაშ საიდან მონახა? ვინ მოიხმარა? ღმერთმა შეარგოს. მე უარს არ ვამბობ ამ ლექსზე, ისე როგორც დიდი გალაკტიონი არ ამბობდა უარს თავის ლექსზე, რომელიც ლენინისადმი იყო მიძღვნილი, არც ბატონი კონსტანტინე ამბობდა უარს „ბელადის“ ავტორობაზე, არც გიორგი ლეონიძე „სტალინის ბავშვობაზე და ყრმობაზე“; თქვენ წარმოიდგინეთ, არც მუხრან მაჭავარიანი უარყოფს ამერიკელებისადმი მიძღვნილ ლექსს, სადაც მათ ურჩევს: „დაარქვით ბროდვეის ლენინის ქუჩაო“. რა ვქნათ, დრო იყო ისეთი, რომ იშვიათ შემთხვევაში ხარკი უნდა გაგელო, თორემ მწერლობას დაემშვიდობებოდი, ხშირ შემთხვევაში – ქვეყანასაც. მაშ, რა გაუკვირდა „საქართველოს“ რედაქტორს? რა შეიტყო გვიან? ის, რომ გრიგალაშვილს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში რა უნდა-მეთქი? ხო, მართლა, ალბათ, არც ნოდარ გრიგალაშვილი იტყვის უარს ლექსზე, რომელიც დიდ ბუნკერ-ოფიცერს ელიზბარ ჯაველიძეს მიუძღვნა.

სინამდვილე გითხრათ? ამ სამიოთხი წლის წინ მე მწერალთა კავშირში სიტყვა წარმოვთქვი, სადაც გავიხსენე ბატონ ნოდარ ნათაძის მიერ პარლამენტში შხამითა და სიძულვილით წარმოთქმული სიტყვები ქართველი მწერლების მისამართით. ნოდარ გრიგალაშვილმა იწყინა და დაიცვა მისი პარტიის ბელადი – ბატონი ნოდარ ნათაძე. მე ხმამაღლა ვთქვი: „ქართველი მწერლების ლაფში ამომთხვრელის დამცველს რა უნდა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში?“ ეს იყო და ეს, მოწმე გახლავთ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი გურამ ფანჯიკიძე, აგრეთვე ბატონი არჩილ სულაკაური, რომელმაც წესრიგისაკენ მოუწოდა გრიგალაშვილს. მაშ ახლა რამ გაახსენა?

მოკლედ, ასეა თუ ისე, ლექსები მინდა მივუძღვნა გაზეთის მესვეურებს, პირობას ვდებ, რომ არც ამ ლექსპრომტებს შევიტან ჩემს წიგნებში; თანაც ხუმრობის უფლებას მომავალშიც ვიტოვებ.

„ასავალ – დასავალი“
№31, 1997 წ.

### ლექსპრომტი

**ნოდარ გრიგალაშვილს!**
**(სხვასაც)**

I

სარჩემოდ ჩაფიქრებული
უფალმა გაპატიოსა,
რაღა მე გამომარჩიე –
რას ერჩი გალაკტიონსა?
თუ ერთადერთი ამქვეყნად,
გამორჩეულად ელავდი,
დავიჯერო, რომ არ გახსოვს
გამსახურდიას „ბელადი?“
დიდი მწერლების დარაჯო,
სულ ენთოს შენი სანთელი,
ვაი, რომ ბოლმამ დაახრჩო
ამქვეყნად ბევრი ქართველი.

II

შენზე არასდროს ვფიქრობდი,
გრიგალო, დიდო ქართველო,
აქამდე, ერთი სტრიქონიც
არ დამცდენია სათქვენოდ.
რადგანაც ჩემი დღით ვაჭრობ,
რადგანაც მინგრევ ფაცხასა,
ერთ-ორ სტრიქონსაც მოგარჭობ,
ლანძღვა-გინებით გამძღარსა.
სტალინის ქება ვით არ სჯობს
„ვეფხისტყაოსნის“ ლანძღვასა?

III

გული ვერვის ვერ გავუძღვ,
ტყუილზეც ვწერ, მართალზეც,
ერთი ლექსი ლენინს ვუძღვენ,
სამი კიდე – ნათაძეს.
კაკუბავას ვუძღვენ ექსვა,
ჩანგი შენზეც მოვმართე,
შენც მოგიძღვენ ერთი ლექსი,
თუ დაბეჭდავ – მოგართმევ.

### ნოდარ გრიგალაშვილი:

## ჯანსულო, ჩემო ჯანსულო, შენ რომ წვებოდი, ვინ „გკლავდა?“

გაზეთ „საქართველოში“, როგორც მკითხველებისათვის ცნობილია, გამოვაქვეყნე ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი „მშობლიურო პარტიავ, ჩემო“. ამ ლექსის გამოქვეყნების მიზანი სულაც არ იყო ის, რომ მეჩვენებინა, თუ რა გულისამაჩუყებლად ეფიცვერცხლებოდა ბატონი ჯანსული საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

ამას ბევრი სჩადიოდა და მიუხედავად იმისა, ბატონი ჯანსული რაღაც წარმოუდგენელი ეგზალტაციით შეღაღადებს კომპარტიას „მამა ხარ ჩემი, ძმა ხარ ჩემი, სისხლი ხარ ჩემი“-ო, მე მაინც არ შევახსენებდი ამ ლექსს, არ გამოვარჩევდი მის ავტორს „თეთრი ყვავივით“, რომ არა ერთი გარემოება.

მან, როგორც იტყვიან, „მიმართულება“ დამიწუნა, რასაც ზემოთწარმოდგენილ წერილშიც არ უარყოფს და მე იძულებული გავხდი მეჩვენებინა, ამ „მიმართულების“ პატრონი ქებს სხვის ბაღში რატომ ისვრი-მეთქი. ეს იყო და ეს.

ამას ახლა ვამბობ, თორემ მგოსანი, მისი ლექსის გამოქვეყნებისას, ერთი სიტყვითაც არ მიწყენინებია, მისი გაგულისება მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ მისივე ლექსი გამოვაქვეყნე...

ჩემის „ფილოსოფიური მოსაზრებით“ კი ლექსზე, კარგზეცა და თავისმომჭრელზეც, პასუხისმგებლობა მის ავტორს ეკისრება...

ეტყობა, ამ „მიგნებას“ თვით ბატონი ჯანსულიც იზიარებს, ამიტომ საკუთარი პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად ხელს დიდი მწერლებისკენ გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და გიორგი ლეონიძისაკენ იშვერს. პარტიისა და ბელადების ქება არც მათთვის იყო უცხო და რაღა მე გამომარჩიე, შე შეჩვენებულოო.

დასტურ, ბატონო ჯანსულ, მაგრამ მოდით, ორ ეპოქას ერთმანეთში ნუ ავურევთ და ფორმულით – „დრო იყო ასეთი“ ყოველგვარ კონფორმიზმს საქებრად მაინც ნუ გავხდით. იმათ დროში მწერლებს ქათმებივით ხოცავდნენ და სამკაციან „ტროიკას“ ერთ წამში შეეძლო, ვთქვათ, მიხეილ ჯავახიშვილის ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტა, თქვენ დროში კი, პარტიას თუ არ აქებდი, „იქ“ არავინ მოგიწონებდა, მაგრამ არავინ დაგხვრეტდა.

ვგონებ, განსხვავება ყოფილა.

რა თქმა უნდა, ზეწოლა თქვენზეც იყო. მათ დაკრულზე თუ არ იცეკვებდი, არ გექნებოდა მანქანა, თანამდებობა, აგარაკი, მაგრამ კონსტანტინეს დროში არ გექნებოდა სიცოცხლის უფლება...

გარდა ამისა, თქვენს ლექსში მარტო იძულება როდი ჩანს...

ახლა, რაც შეეხება მეორე, სასაცილო დამუნათებას, ბატონი ჯანსული რომ მომმართავს: „ხო, მართლა, ალბათ, არც ნოდარ გრიგალაშვილი იტყვის უარს ლექსზე, რომელიც დიდ ბუნკერ-ოფიცერს ელიზბარ ჯაველიძეს მიუძღვნა“.

როგორ გეკადრებათ, ბატონო ჯანსულ, უარს ვიტყვი კი არა, მადლობასაც გწირავთ, 1978 წელს, მესამეკურსელი ნოდარ გრიგალაშვილის მიერ დაწერილი ლექსი რომ გამახსენეთ. ახლა მკითხველმა რომ არ იფიქროს, ამ ლექსით მეც იდეური მარცხი მომივიდა, შემოგთავაზებთ ამ ლექსის ტექსტს:

### ღამით საინგილოსთან

ჩინარი თეთრი ტრიალ მინდორში,
ჰკიდია ღამეს როგორც საყურე,
ჩემი სამშობლოს ძველი სადროშო,
თავის დაკარგულ მოძმეს გაჰყურებს.
რამ დააწყნარა აქ ალაზანი,
როდესაც ასე ახლოა მთებთან,
ხეები დგანან ცის მონაზვნები,
და ვალს იხდიან თავთან და
ღმერთთან...
შორით უდაბნო არის გაშლილი,
ყორღანებივით ყრია ბორცვები,
ასე უბრალოდ ჩვენ გაგაშვილეთ,
და სხვის მეჩეთშიც ვერ ილოცებით...
კლდეთა ტინებთან მთვარე ატირდა,
არღნის ღრიალი ქარებს
მოჰქონდათ,
უნდა წახვიდე და განაპირდე,
და შენც ღრიალით გასკდე
გოდოლთან.
ციხის ნანგრევებს ცის ბოძალივით,
დაეფინება მთვარის თუნუქი,
დგას საქართველო ამორძალივით
ალაზანს გაღმა მოჭრილ ძუძუთი.

ახლა ამ ლექსს რომ ვკითხულობ, ოცი წლის ავტორის კვალობაზე, ლიტერატურული გავლენების მიუხედავად, ვგონებ, არ უნდა გამოიყურებოდეს სამარცხვინოდ.

მაშ რისთვის მიკიჟინებს ბატონი ჯანსული, იმედია, მის ავტორობაზე არ იტყვი უარსო? იმის გამო, რომ იგი „ბუნკერ-ოფიცერ“ ელიზბარ ჯაველიძეს ეძღვნება. კი მაგრამ, მაშინ, ბატონო ჯანსულ, როცა ეს ლექსი ელიზბარს „ვაჩუქე“, ის „ბუნკერ-ოფიცერი“ კი არა, თქვენი ძმაკაცი არ იყო?..

დაბოლოს, ბატონ ჯ.ჩარკვიანს თავისი პასუხი ჯერ წერილობით ჩამოუყალიბებია და შემდეგ იგივე აზრები ლექსის მაესტროს ლექსად გაუჩარხავს. ვილებ მისგან ხელთათმანს და მეც ასე მოვიქცევი, მის „მოედანზე“ გადავალ სათამაშოდ და მეც ლექსად გავეპასუხები. მსაჯული ჩვენი მკითხველი იყოს.

*P.S. რითმას ბევრი რამ შეუძლია, კაცმა რომ თქვას, არავითარი ბოლმა ჩარკვიანისადმი არ გამაჩნია, მაგრამ ხანდახან ეს ოხერი რითმა კაცს გაწყენინებინებს კიდეც...*

### ლექსპრომტი

**ჯანსუღ ჩარკვიანს!**
**(სხვა პოეტსაც, სუკის ორ გენერალთან ერთად რომ დადიოდა შუაღამისას ჩემს წინააღმდეგ კოლექტიურ წერილზე ხელმოსაწერად)**

შენ დიდი ხარ, დიდი, „მარე“
ორდენებით, სიგრძით, რანგით,
ათიანშიც ისვრი მარა,
ისვრი... მარად ბუმერანგით!..
კი გაქვს ნიჭი, სიტყვაც გიჭრის
მაგრამ ნეხვზე ამბობ – ვარდო!
ერთ-ორ სტრიქონს მეც მიგარჭობ
ცხრა მთავრობის დარდიმანდო...
რომ არ გკადრო, ვით არ გკადრო,
რომ გკადრო და გკადრო ვითა,
დასაკარგი დაგრჩა, კარგო,
ამდენ ყოვლისკადრებითა?..
„რაღა მე გამომარჩიე“
ლუარსაბივით რომ ჩივი
და სხვები „მომეც“ არჩივად
(აქ მახსენდება არჩილი)*
„რად სოფელო, სხვა არ დასწვი
ჩემებრ მე მქმენ დასადაგე“
შენაც უმალ „სხვას“ გადასწვდი
მიეტოლე, მიედაგე...
გალაკტიონით ვღელავდი
გახეთქე როგორც ფილთაქვა
გამსახურდიას „ბელადიც“
ზედ თავზე წამომითაქე...
კი, წერდა გალაკტიონი,
არც გოგლას დაუზარია,
ღმერთი, რჯული და მირონი,
თქვენ შუა „მაინც“ ზღვარია...
გოგლას ბელადი არ ექო,
ბელადი გოგლას მოკლავდა!
გალაკტიონს რომ არ ექო,
გალაკტიონსაც მოკლავდა!
გამსახურდიას არ ექო,
გამსახურდიას მოკლავდა!
სხვა დრო იყო და გაუღო –
ხარკი, იგლეჯდა ვინ ტყავს და...
ჯანსულო, ჩემო ჯანსულო,
შენ რომ წვებოდი, ვინ „გკლავდა?..“

* მკითხველისათვის ცნობილია, რომ მოყვანილი ციტატა თეიმურაზს ეკუთვნის და არა არჩილს, მაგრამ რაკი ჯანსულისთვის თეიმურაზიც არჩილიცა და სტალინიც სულერთია, იყოს არჩილი, რას აშავებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარიშვილი — ბანდიტების ახალი ქომაგი?!

*რედაქციისაგან: ქალბატონმა ირინამ, ალბათ, იცის ჩვენი რედაქციის დამოკიდებულება მისი პიროვნებისადმი, რაც წერილობითაც გამოგვიხატავს, მაგრამ, ვერ მივეცით თავს უფლება, ავტორის დაჟინებულ თხოვნაზე, დაგვებეჭდა ეს წერილი, უარი გვეთქვა.*

*თუ ი.სარიშვილი უნებლიედ შემცდარია, მაშინ ეს მკვახე წერილი მას დააფიქრებს, ხოლო თუ მართალი გახლავთ, ცხადია, ჩვენივე გაზეთით შეუძლია უპასუხოს.*

24 ივლისს, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე პარლამენტარ ირინა სარიშვილი-ჭანტურიას გამოსვლა ნიმუში იყო ისეთი დემაგოგიის და სიცრუის, რასაც ცოტანი თუ იკადრებენ. იგი აცხადებდა, რომ ხელთ აქვს მამხილებელი დოკუმენტები, ვიდეოკასეტები, რაც მოწმობს ფირმა „ომეგას" კონტრაბანდისტულ საქმიანობასო.

ვინც თვალს ადევნებს ბოლო ოთხი თვის მანძილზე „ომეგა" - „ელიზის" სახელით გახმაურებულ მოვლენებს, მისთვის არაფერი იქნება ახალი ქ-ნ ირინას გამოსვლაში. ყველა ის ფრაზა და „მამხილებელი" დოკუმენტი აქამდეც არაერთხელ მოგვისმენია და წაგვიკითხავს „ელიზის" მიერ შექმნილი ბანდიტური ჯგუფის მომხრეთა ხელმოწერით. ირინა სარიშვილი სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმას, რასაც „ამტკიცებდნენ" ადვოკატი ღარიბაშვილი, ბარამიძე-მაჭავარიანის დუეტი და ბანდიტური ჯგუფის ორგანიზატორი თამაზ ელიზბარაშვილი.

ეს ისინი ცდილობენ შეთითხნონ ვითომდა „ომეგას" მაკომპრომეტირებელი მასალები და, რადგანაც ვერ ახერხებენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რეალობაში ასეთი მონაცემები არ არსებობს და „ომეგა" პირნათელია სახელმწიფოს წინაშე (ამჟამად სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი აქვს 16 მილიონი ლარი), ლამობენ დემაგოგიით, შეურაცხმყოფელი და დაუსაბუთებელი განცხადებებით და პირველ ყოვლისა, ჩინოსანი მფარველების მხარდაჭერით გავიდნენ ფონს.

ცდილობენ, საქმე ისე გააუკუღმართონ, რომ წარმოგვიდგინონ ორი ფირმის კონკურენტად და არა ისე, როგორც სინამდვილეშია ბანდიტური ჯგუფისა და დაზარალებული ფირმის ურთიერთობად.

ბანდიტური ჯგუფის მფარველებმა აამოქმედეს მოსყიდულ ჟურნალისტთა და კორუმპირებულ მოსამართლეთა თუ დეპუტატთა გუნდი და ყოველნაირად ცდილობენ გზა გადაუკეტონ სიმართლეს.

ამ უზნეობის მონაწილედ მოგვევლინა ირინა სარიშვილიც, ვისგანაც არ გვიკვირს არც დემაგოგია, არც წაგლეჯა-მითვისება (სტუდენტებს რომ აუდიტორიებს წაართმევს სრულიად უკანონოდ და ეს შერჩება, რიღას წინაშე დაიხევს უკან), არც კრიმინალებთან კავშირი.

ის კასეტები, რომლითაც იმუქრებოდა პარლამენტარი, არის კრიმინალური ჯგუფის მიერ უკანონოდ გადაღებული ვიდეოფირები, რაც იმისათვის ჭირდებოდათ, რათა დაედგინათ ფირმა „ომეგას" მიმოსვლის გზები და მარჯვედ დაეგეგმათ ბანდიტური თავდასხმა, რაც ორჯერ განახორციელეს. პირველი შერჩათ, მეორე - უკვე აღარ.

ირინა სარიშვილი ცოტა ხნის წინათ ირწმუნებოდა, ფირმა „ელიზი" კონტრაბანდისტია ჯერ კიდევ გიორგაძის დროიდანო. ახლა კი უეცრად ეს კონტრაბანდისტი და ბანდიტობაშიც მხილებული ფირმა „ელიზი" კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლად გამოაცხადა და დაზარალებული ფირმა „ომეგას" კი ცილისწამებანი დაატეხა.

ადვილი მისახვედრია, რამაც გამოიწვია ირინა სარიშვილის სრული მეტამორფოზა. რა ომბუნდსმენობაც ელენე თევდორაძეს მიართვეს, იმ მეროზას მას უშოვნიან.

**ნინო თალაკვაძე**

## გენერლებით „განათლებულ" რუსებს ამისთანა გენერალი ნამდვილად არ ეყოლებათ

„თუ ჩვენ კონფლიქტის ზონას დავტოვებთ, არძინბას თქმით, მას აფხაზური ქვედანაყოფები დაიკავებენ, რაც გალის რაიონში მცხოვრებ 60 ათას ადამიანს ისევ დევნილად აქცევს", - თქვა 31 ივლისს სოხუმის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ჯარების სარდალმა დოლია ბაბენკოვმა.

„31 ივლისის ანალოგიური ვითარება იყო 1997 წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდეც, როდესაც ასევე მანდატის ვადა ამოიწურა, „მაგრამ სამშვიდობო ძალები ასრულებდნენ თავის ფუნქციას", - თქვა ბაბენკოვმა.

ბაბენკოვმა გაიხსენა დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების მიერ 1997 წლის 28 მარტს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც „მანდატი 31 ივლისამდეც გრძელდება და მას შემდეგაც, ვიდრე ერთი მხარე ჰა მოითხოვს მანდატის შეწყვეტას".

„აფხაზურმა მხარემ უკვე განაცხადა თანხმობა, ქართულ მხარეს ჯერ არ გამოუთქვამს თავისი პოზიცია მანდატის გაგრძელების თაობაზე. ვიდრე სიტუაცია არ გაირკვევა, სამშვიდობო ჯარები დარჩებიან კონფლიქტის ზონაში", - დასძინა აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის მთავარსარდალმა, დოლია ბაბენკოვმა. (პრაიმ-ნიუსი)

## ე.შევარდნაძე არ გამორიცხავს ვლ.არძინბასთან პირისპირ შეხვედრას

„არ გამოვრიცხავ ჩემი და არძინბას პირისპირ შეხვედრას, სადაც უმთავრესი ფაქტორი ნდობის ფაქტორია" - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელიც უპირატესობას ორმხრივ ქართულ-აფხაზურ დიალოგს ანიჭებს. (იფრინდა)

# საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება

პირველი გვერდიდან

- რუსეთისთვის „სამშვიდობო" ფუნქციის დაკისრება ომის წაგების შემდეგ, რაც მისთვის აგრესიის ბრალდების მოხსნას უდრის, და მისი შეიარაღებული ძალით ენგურის დაფიქსირება „საზღვრად" საქართველოს და მის ერთ-ერთ ნაწილს - აფხაზეთს შორის.

- ყოფილი პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულ რაზმებთან შეთანხმებაზე არწასვლა გარდუვალი სამხედრო კატასტროფის მოლოდინში, აფხაზეთის მიმდგომი რაიონების განმეორებითი სისხლიანი დარბევა ომის წაგების შემდეგ მოწინააღმდეგის (რუსეთის) შეიარაღებულ ძალთა გამოყენებით საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა წინააღმდეგ, რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა საყრდენების კანონსაწინააღმდეგოდ დატოვება საქართველოში, რაც საქართველოს შეიარაღებულ ძალთა წარმატებას რუსეთის მიერ მხარდაჭერილ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში პრინციპულად შეუძლებელს ხდის,

და არაერთი სხვა სტრატეგიული და პოლიტიკური ნაბიჯი.

დღეს არ არის ამ ქმედების ჩამდენთა დანაშაულის ზომის განსაზღვრის დრო, რასაც, უნდა ვივარაუდოთ, სასამართლო მოახდენს მათს სიცოცხლეში ან მათი სიკვდილის შემდეგ, ამჟამად აუცილებელია არსებული მდგომარეობის სწორი შემეცნება და საქართველოს გადარჩენისა და გამარჯვებისათვის აუცილებელ ნაბიჯთა სწორი განსაზღვრა ძირითად ხაზებში. მაინც, საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი ამ ნაბიჯთა განსაზღვრისას ემყარება შემდეგ გარემოებებს:

- რუსეთის ექსპანსიურრევანშისტული ინტერესები ამიერკავკასიაში, ისევე როგორც მის მიერ დასავლეთ-აღმოსავლეთის ე.წ. დერეფნის განვითარების შეფერხების ინტერესები მოითხოვს აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებათა განახლებას. ამიტომ მოსალოდნელია, რომ რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო" ძალების ღალიძგის გაღმა გასვლისთანავე ისინი არაოფიციალურად ჩადგებიან დალის ხეობაში და ღალიძგაზე მაინც;

- რუსეთის გამოუცხადებელი, მაგრამ ხილული ომი საქართველოს წინააღმდეგ პოპულარული იქნება რუსეთის მოსახლეობის თვალში და, ამდენად, მომგებიანი იქნება ხელისუფალთა პრესტიჟისთვის;

- საქართველოში რუსეთის ბაზების არსებობის პირობებში ქართული შეიარაღებული ძალების გამარჯვება რუსეთთან გამოუცხადებელ ომში მოსალოდნელი არაა;

- როგორც გვიჩვენა გამოცდილებამ, პრეზიდენტ შევარდნაძის სარდლობით ომის წარმატებით წარმოება მოსალოდნელი არაა;

- მოსალოდნელია დიდი რაოდენობით რუსეთის მოქალაქეების (ჩრდილო კავკასიელებისა და კაზაკების ჩათვლით) მონაწილეობა შეიარაღებულ მოქმედებაში საქართველოს წინააღმდეგ;

- მოსალოდნელია სხვა ქვეყნის (ქვეყნების) მოქალაქეთა მონაწილეობაც ამ საბრძოლო მოქმედებაში საქართველოს წინააღმდეგ;

- რუსეთის მონაწილეობა ქართულ-აფხაზურ მხარეთა მოლაპარაკებაში „ხელშემწყობის" ფუნქციით ნიღბავს იმ ფაქტს, რომ საქართველომ წააგო გამოუცხადებელი ომი რუსეთთან და არა ომი აფსუა სეპარატისტებთან, ეს მონაწილეობა ქმნის ილუზიას, რომ აფსუა სეპარატისტებმა თავისი გამარჯვებით მოიპოვეს ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილი ტერიტორია, და ხელს უწყობს რუსეთს მის შემდგომ მოქმედებაში საქართველოს წინააღმდეგ.

ესოდენ არახელსაყრელ დროს მოსალოდნელი ახალი ომისაგან თავის დასაცავად და ამ ომში (ზემოხსენებული მიზეზების გამო) შესაძლო ახალი კატასტროფისგან თავის დასაცავად აუცილებელია:

1. რუსეთისადმი მიმართული ოფიციალური ნოტის და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი, მათ შორის გაეროსადმი მიმართული ოფიციალური ჩივილის ფორმით მოხდეს იმის საჯაროდ კონსტატაცია, რომ რუსეთი იყო და არის საქართველოს მოწინააღმდეგე ქართულ-აფხაზურ შეიარაღებულ კონფლიქტში და არა შუამავალი ან არბიტრი. ეს ნაბიჯი საჭიროა მომავალ შესაძლო საომარ მოქმედებაში რუსეთის მონაწილეობის მინიმალიზაციისთვის;

2. საქართველოს ხელისუფლებამ ტექნიკურად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში უნდა აღასრულოს საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 1 ივნისის დადგენილება საქართველოდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ, რისთვისაც დაუყოვნებლივ უნდა მოსთხოვოს რუსეთის მხარეს, ოფიციალური ფორმის სრული დაცვით, ამ დადგენილების შესრულება. ამ ვადის მანძილზე საქართველოს ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეზღუდოს საქართველოში რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა მოქმედებისა და გადაადგილების შესაძლებლობები. ეს ნაბიჯი საჭიროა საქართველოს ზურგის გამაგრებისათვის რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ანტიქართულ ძალებთან და რუსეთის მოქალაქეებით დაკომპლექტებულ სამხედრო შენაერთებთან შესაძლო ომის შემთხვევაში;

3. საქართველოს ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა მოაცილოს სამხედრო ხელმძღვანელობას მისი დღევანდელი პრორუსული შემადგენლობა, შეცვალოს იგი ეროვნულად ერთგული ოფიცრობით და ოფიციალურად დაგმოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა სოციალური უგულებელყოფის პრაქტიკა, რომელიც საქართველოში გაბატონებულია 1993 წლიდან დღემდე. დაუყოვნებლივ უნდა განისაზღვროს საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ერთგული და კომპეტენტური სარდლობა ომის შემთხვევისათვის.

4. ვინაიდან მოვლენათა განვითარებამ უკანასკნელი 6 წლის მანძილზე ცალსახად დაამტკიცა, რომ საქართველოს ხელისუფლების დგომა რუსეთის პოლიტიკის ფარვატერში საქართველოს საარსებო ინტერესთა საზარალოდ ვერ იძლევა პროგრესს აფხაზეთში რუსეთის ანტიქართული მოქმედების შესუსტების მიმართულებით და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ინტერესთა წინააღმდეგ რუსეთის აქტივობის შესუსტების მიმართულებით, საქართველო დაუყოვნებლად უნდა გამოვიდეს СНГ-დან, რომლის წესდებასაც იგი 1994 წელს შეუერთდა კანონდარღვევით, და თავისი ურთიერთობები რუსეთთან მეზობელ სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლობის პრინციპით უნდა შემოფარგლოს.

ამ ნაბიჯთა არგადადგმა სგრპ ეროვნული კომიტეტის მიერ მიჩნეული იქნება საქართველოს ინტერესების კიდევ ერთ ღალატად არსებულ დაძაბულ ვითარებაში.

წინამდებარე განცხადების ტექსტი ეგზავნება პრეზიდენტ შევარდნაძეს.

# რას ვაშენებთ, აგენტთა საერთაშორისო ციხეს?

როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა 54 სიკვდილმისჯილი შეიწყალა. მათ 20 წელი სასჯელი უნდა მოიხადონ და რეჟიმის მიხედვით ისინი განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში უნდა იყვნენ განთავსებული. საქართველოში ასეთი ტიპის კოლონია არ არსებობდა. პატიმრებს რუსეთის შორეულ მიწებზე აგზავნიდნენ, რაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელი გახდა. ამ ტიპის პატიმრები ციხის საკნებში ჰყავდათ გამომწყვდეული. ამჟამად გამოსავალი გამოინახა და საგარეჯოში არსებული ბანაკი განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის კოლონიად გადაკეთდა. მაგრამ შეწყალებულებს იქ გადაიყვანენ თუ არა, ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დარჩა.

როგორც პარლამენტის კომისიის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ თქვა, საგარეჯოს კოლონია პატიმრებითაა სავსე, იქ ადგილი არაა და პატიმართა ახალი ნაკადის მიღება შეუძლებელია. როგორც ჩანს, შეწყალებულებს კიდევ დიდხანს მოუწევთ ციხის ჯურღმულებში და დახუთულ საკნებში ყოფნა.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 1996 წელს რუსთავში დაიწყო განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიის მშენებლობა. საფუძველი ჩაეყარა სპეც.კორპუსების მშენებლობასაც, მაგრამ უსახსრობის გამო მშენებლობა შეჩერდა. ეს იმ დროს, როდესაც უშიშროების სამინისტრო, შუაგულ ქალაქში, ყოფილი კავკასიის ბირჟის მახლობლად გამალებით აშენებს საგამოძიებო იზოლატორს 300 კაცზე. მათ არც თანხა აკლიათ და არც სამშენებლო მასალა. საინტერესოა ისიც, რომ თუ უშიშროების სამსახურის რეფორმაა გათვალისწინებული და საქართველომ თავი უნდა დააღწიოს საბჭოთა მენტალიტეტს ამ მხრივაც, ე.ი. უშიშროების სამსახური საშიშროების სამინისტროდან ქვეყნის უშიშროების დამცველად იქცეს, მაშინ რაღა საჭიროა ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის ამხელა საგამოძიებო იზოლატორი? სად უნდა ვეძებოთ 300 უცხო ქვეყნის რეზიდენტი? თუ შპიონთა საერთაშორისო ციხეს ვაშენებთ? სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ასაშენებელი თანხა ჩვენი ბიუჯეტიდან გამოიყოფა და ჩვენი ჯიბიდანაა ამოღებული.

**მანანა იაშვილი**

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“

# მე გახლდით შევარდნაძესთან

## ფილიპ ბობკოვი


ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოცდაათიანი წლების შუაგულში მე გახლდით ე.ა.შევარდნაძესთან, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა თბილისში მოსკოვიდან და აღელვებული ყვებოდა რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ. კერძოდ, განყოფილებაში საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ, შემოთავაზებული იყო ეცნოთ თანაბარუფლებიანად ქართული და რუსული ენები.

– ამჟამად რა გაქვთ ჩაწერილი კონსტიტუციაში? – ვკითხე მე.

– ამ საკითხის შესახებ არაფერი არ არის ჩაწერილი, – მიპასუხა შევარდნაძემ.

– ჰოდა, იქნებ არცა ღირს, რომ ახალში ამის შესახებ ჩაიწეროს? – ეჭვი შემეპარა მე, – რა საჭიროა იმ საკითხების წამოჭრა, რაც იქ არ არის?

– ჩვენ ხომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა უნდა განვამტკიცოთ – მიპასუხა მან – და მერე იცით ეს საკითხი უკვე სუსლოვთან შევათანხმე და მან ჩვენი ინიციატივა წაახალისა.

როგორც კი უმაღლესი საბჭოს სესიამ კონსტიტუციის ეს მუხლი მიიღო, ქუჩებში სტუდენტების ბრბოები გამოვიდა და მოითხოვეს კონსტიტუციაში რუსული ენის როგორც სახელმწიფოებრივი ენის დაკანონების გაუქმება – ასეთად უნდა დარჩეს მხოლოდ ქართული. მომიტინგეებთან შევარდნაძე გავიდა და შეჰპირდა მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. და მართლაც, გამოქვეყნებული კონსტიტუციის ტექსტში, სიტყვები რუსული ენის შესახებ ამოღებული იყო. ხოლო ქართული ცხადდებოდა ერთადერთ სახელმწიფო ენად. ეს იმასაც უსვამს ხაზს, თუ როგორ ეპყრობოდნენ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებებს ჩვენთან. უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, პარტიის ცკ-ს პირველმა მდივანმა კი თავისი პირადი განკარგულებით გააუქმა.

ამ ჟესტმა, სხვათა შორის, სასომხეთში, სადაც უკვე კონსტიტუცია მიღებული იყო გარკვეული რეაქცია გამოიწვია. სომხებმა აგრეთვე უკუსვლა ჩართეს და საქართველოს მაგალითისამებრ სახელმწიფო ენად მხოლოდ სომხური აღიარეს.

ყოველივე ეს ქმნიდა ატმოსფეროს, რომელშიც ნაციონალური გრძნობები ადვილად გადაიზრდებოდა ნაციონალურ განწყობილებებში. ჰოდა ყოველგვარი ნაციონალისტური განწყობილებების ღია გამოვლენაზე ხელისუფლების რეაგირება ერთნაირი იყო: ეს უშიშროების ორგანოების საქმე გახლდათ, ჰოდა გაერკვნენ. ნამდვილად კი რა უდევს საფუძვლად ყველა ნაციონალურ გამოვლინებას, არავის არ აინტერესებდა. არავის არ უნდოდა პოლიტიკური სამუშაოთი დაკავებულიყო. ამიტომაც ერთმანეთს უმტკიცებდნენ ერთსა და იმავეს: „ჩვენთან ნაციონალურ საკითხთან დაკავშირებით – ყველაფერი რიგზეა“.

* * *

როდესაც საქმე ეროვნებათაშორის კონფლიქტებს ეხებოდა, იჩქმალებოდა, ერთის შეხედვით, ყველაზე უმნიშვნელო ფაქტებიც კი, რომელთაგანაც გამომდინარე აუცილებელი იყო გარკვეული დასკვნების გაკეთება მაგალითად, ტაშკენტში მიმდინარე საფეხბურთო მატჩის დროს, ადგილობრივმა გუნდმა „ფახტაქორმა“ წააგო მოსკოველებთან და ახალგაზრდა გულშემატკივართა ჯგუფები გაიჭრნენ მოედნისაკენ ყვირილით: „დაჰკარით რუსებს!“ რამოდენიმე დღე ამ ინციდენტის შემდეგ ტაშკენტის რუსულ მოსახლეობას ეშინოდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაც კი, აბობოქრებული ახალგაზრდობა მათ ავტობუსებიდან და ტროლეიბუსებიდან ყრიდა. მე ვფიქრობ, საჭირო იყო ამ ფაქტების გახმაურება, ზომების მიღება, რათა შემდგომში ასეთი ექსცესები აღარ დაშვებულიყო, მაგრამ ეს რესპუბლიკის კპ პირველ მდივანს რაშიდოვს არ სურდა. ასეთი არასასიამოვნო ეპიზოდები რესპუბლიკას არ არგია, აქედან გამომდინარე ნაციონალისტური გამოვლინებები უზბეკებს არ შეიძლება, რომ ჰქონდეთ. რაშიდოვმა ზომები კი არ მიიღო, პირიქით, შეეცადა ყოველმხრივ, რომ ეს ფაქტები მოსკოვისათვის ცნობილი არ გამხდარიყო.

ერთის შეხედვით რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ნაციონალურ პრობლემებს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან? აღმოჩნდა, რომ პირდაპირი. აი, მაგალითად, უზბეკეთში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა დასავლური რადიოსადგურების მიერ გაგებული იქნა როგორც რუსების მიერ უზბეკების დაჩაგვრის მცდელობა. „არავითარი კორუფცია არ არის – გადმოსცემდნენ ისინი – არის მხოლოდ რუ[სე]თის იმპერიული მისწრაფებ[ები], რომელსაც უნდა საბოლოოდ დ[ა]მონოს თავისი კოლონია – უზბ[ეკე]თი. რუსეთი ოცნებობს უზბ[ეკი] ხალხის დამცირებაზე, იმ ხალხი[სა], რომელიც თავისი კატორღუ[ლი] შრომით ბამბის პლანტაციებ[ში], ქარხნებში და ფაბრიკებში არჩ[ენს] მას, აძლევს საშუალებას გაყიდ[ოს] ბამბა და ხვეტოს ოქრო საზღვარგარეთიდან, როდესაც ეს ოქრო კანონიერად უზბეკებს ეკუთვნით. [და] საერთოდ უზბეკეთში კორუფც[ი]ის წინააღმდეგ ბრძოლა – ეს ერთ-ერთი ხერხია მოსკოვის მიერ ნაციონალურ ძალთა დათრგუნვისა, [იმ] ძალთა, რომელნიც განასახიერებ[ენ] უზბეკი ხალხის ნაციონალურ შეგნებას“.

გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48-77.

# მკვლელების სექტის ისტორიიდან



ისტორიულმა დოკუმენტებმა ისმაილიტთა სექტის ფანატიკოს-წმინდანთა (ფიდაების – რაც სიტყვასიტყვით „თავის შემწირველს“ ნიშნავს) თავგანწირული და გონსგადასული საქციელის მრავალი მაგალითი შემოგვინახეს. ერთ-ერთი ევროპელი, რომელსაც წილად ხვდა გამხდარიყო იმგვარი სანახაობის მოწმე, როგორმაც საუკუნის წინ მელიქ შაჰის გზირი შეაძრწუნა, გახლდათ ანრი, შამპანის გრაფი. აი, რას გვიყვება იგი თავისი მოგზაურობის შესახებ ისმაილიტთა მიწებზე 1194 წელს: „მბრძანებელმა თავისი ხალხი გამოგზავნა მის შესახვედრად და უკანა გზაზე თავის ციხესიმაგრეში დაპატიჟა. გრაფი დათანხმდა. იგი მიიღო დაი-ელკებირმა (დიდმა მქადაგებელმა), დაათვალიერებინა ციხე-სიმაგრე და პატივისცემის ყველა ნიშნით დააჯილდოვა. როდესაც ისინი ერთ-ერთი არაჩვეულებრივად მაღალი კოშკის გვერდით აღმოჩნდნენ, რომლის თავზეც ორი თეთრით შემოსილი დარაჯი იდგა, მბრძანებელმა მიუთითა გრაფს მათზე და თქვა: „მათ შეუძლიათ მორჩილება გაცილებით უკეთესად, ვიდრე ქრისტიან ქვეშევრდომებს!“ და მის ნიშანზე ორივე წამსვე გადმოეშვა კოშკიდან. „თუ გნებავთ, – უთხრა მან გაოგნებულ გრაფს, – თეთრით მოსილი ყველა ჩემი ქვეშევრდომი იგივეს გააკეთებს“. გრაფმა უარი თქვა ამ წინადადებაზე და გულღიად აღიარა, რომ არც ერთ ქრისტიან მეუფეს თავისი ხალხის ასეთი მორჩილების და თავგანწირვის მოლოდინის იმედი არ გააჩნია. როდესაც ბევრი ძვირფასი საჩუქრის მიღების შემდეგ გრაფი გზის გასაგრძელებლად მოემზადა, მბრძანებელმა მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა: „ამ ერთგულ მსახურთა საშუალებით მე ჩვენი ერთობის მტრებისაგან გავთავისუფლდები“.

ჰასან-იბნ-საბაჰის პიროვნების უკეთ გასაცნობად მისი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები გამოდგება. აქ იგი თავისი ახალგაზრდობის შესახებ ყვება. ვფიქრობთ, ეს ნაწარმოები ნამდვილად მის კალამს ეკუთვნის, რადგანაც ჰასანის რელიგიური გარდაქცევის ისტორია საკმაოდ ზუსტად აღწერს ფანატიკოსთა ფსიქოლოგიას, როგორ რელიგიურ და პოლიტიკურ შეხედულებასაც ისინი არ უნდა ეყრდნობოდნენ.

ჰასანი ყვება თავისი მამის მიერ მასში იმამების ღვთიური წარმოშობის რწმენით აღზრდის შესახებ, ისმაილიტ მქადაგებლებთან კამათის შესახებ, ავადმყოფობაზე, რომელიც ამ ფაქტს მოჰყვა. შიშზე, რომ თუ იგი გარდაახსნული, მოქცეული მოკვდება, წყეულიმც იქნება გამოჯანმრთელების შემდეგ ჰასანს ურთიერთობა ჰქონდა რამოდენიმე ისმაილიტ მქადაგებელთან. ეს ხდებოდა ეგვიპტეში მისი გამგზავრების წინ.

ჰასანის წინანდელი, მელიქ შაჰის კარზე ყოფნის პერიოდის მდგომარეობის გათვალისწინებით, ხალიფმა იგი დიდი პატივით მიიღო. მაღალჩინოსანი კაიროელი თანამდებობის პირები ცდილობდნენ გაეზვიადებინათ ახლადმოქცეულის მნიშვნელობა, რაც საბოლოო ჯამში მათთვის კი არა, ჰასანისთვის აღმოჩნდა მომგებიანი. სულ მალე მან რაღაც პოლიტიკური ინტრიგა წამოიწყო, შეპყრობილი იქნა და მიესაჯა ციხეში ჩასმა. როდესაც იგი სასჯელის აღსრულების ადგილისკენ მიჰყავდათ, ჩამოინგრა ერთ-ერთი მინარეთი, რომელიც ჰასანის გასავლელ გზაზე იყო. ეს მსწრაფლ გაგებული იქნა, როგორც ალაჰის მხრიდან ჰასანის მიმართ გამოჩენილი ყურადღება (ჰასანი ღვთიური კეთილგანწყობით სარგებლობს). ხალიფმა სასწრაფოდ მდიდრულად დაასაჩუქრა იგი და იჩქარა ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში მიმავალ გემზე დაესვა. ხალიფის საჩუქრებმა შეადგინეს სწორედ ის საწყისი კაპიტალი, რომლის საშუალებითაც ჰასანმა შემდგომ თავისი „სამოთხე“ ააშენა. განგების ნებით კი საჭირო ხალხსაც მოძებნის.

მოგზაურობის დროს ამოვარდა უსაშინლესი ქარიშხალი, რომელმაც კაპიტანი, მეზღვაურები და მგზავრები იმდენად შეაშინა, რომ ლოცვის მეტს ვერაფერს ახერხებდნენ, ჰასანის გარდა. როდესაც მას ჰკითხეს მისი საქციელის მიზეზი, მან ამაყად განაცხადა: „მე თვითონ შევქმენი ეს ქარიშხალი, რატომღა უნდა ვილოცო, რომ იგი ჩადგეს? მე მიგითითებთ ალაჰის სიბრაზეს. მე უკვდავი ვარ და ამიტომაც არ დავიღუპები, როდესაც გემი ფსკერისკენ წავა. თუ გსურთ გადარჩეთ, მიწამეთ მე და დავამშვიდებ სტიქიას!“.

თავდაპირველად ეს მოთხოვნა პასუხის გარეშე დარჩა. შემდეგ, როდესაც მგზავრებს მოეჩვენათ, რომ გემის გადაბრუნებას არაფერი აკლდა, მიცვივდნენ ჰასანთან და მისცეს ფიცი სამუდამო ერთგულების შესახებ. შტორმმა მართლაც დაცხრომა დაიწყო. მის დამთავრებამდე ჰასანი მშვიდი რჩებოდა. გემი სირიის ნაპირებთან აღმოჩნდა. ორმა მგზავრმა დატოვა გემი ჰასანთან ერთად. ესენი იყვნენ ვაჭრები, რომელნიც მისი პირველი თანამებრძოლები გახლდნენ.

თვლიდა რა, რომ იგი ჯერ კიდევ მზად არ იყო შეესრულებინა თავისი დანიშნულება, ჰასანი გარკვეული ხანი მოგზაურობდა კაიროს ხალიფის მქადაგებლის სახით. თავისი გეგმების განსახორციელებლად შესაფერისი ადგილის ძებნაში მან ოლეპოდან ბაღდადამდე გზა განვლო. ამის შემდეგ იგი სპარსეთში მოხვდა, სადაც აგრძელებდა იმ ხალხის თავის მხარეს გადმობირებას, რომელნიც მის ქადაგებას ეგზალტირებულნი უსმენდნენ. ამ პერიოდისთვის მისი ქადაგებები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან წილად ეგვიპტელ ისმაილიტთა დოქტრინებს ეყრდნობოდნენ. როდესაც ჰასანი მისი ქადაგებებისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარე ფანატიკოსს (ფიდაის) აღმოაჩენდა, გარკვეული დამუშავების შემდეგ ავალებ[და] და დარჩენილიყო ადგილზე და გაეგრძელებინა „ერთგულ[ი] ხალხის ძებნა“. ეს ჯგუფები გახდნენ შემდგომში „სიცოცხლეშეწირულთა“ („მოსიკვდილეთა“) რაზმების დონორები, რომლის წევრები ყველაზე პერსპექტიული ნეოფიტებიდან ირჩეოდნენ. ამგვარად, სამშობლოში ჰასანის დაბრუნებიდან 2-3 თვის შემდეგ მან უკვე შექმნა მომზადების პატარა ცენტრები, რომლებიც კაიროს „ზიარებულთა საცხოვრებლის“ ნიმუშის მიხედვით იყვნენ ორგანიზებულნი.

გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №72-77.

# მძიმე ლოდად აწევს დღეს საქართველოს...

მე შორს ვარ ხელოვნური გათანაბრების იდეისაგან, მაგრამ ასეთ უკიდურეს სოციალურ ვითარებას წერტილი უნდა დაესვას; ერთნი ნაგვის ბუნკერებში ეძებენ რაიმე ხელსაყრელს, მეორენი მშიერ-მწყურვალნი, დაავადებულნი ელიან შველას, მესამენი ქანცგამოლეულნი შრომობენ უმცირესი ანაზღაურების მოლოდინში და სწორედ ამ დროს მავანნი უკანონობის გზით იხვეჭენ რაც შეიძლება მეტს, იძენენ უძრავ-მოძრავ ქონებას, არ იკლებენ განცხრომა-სიამოვნებას...

ამგვარი სოციალური ფონი აკნინებს საზოგადოებას, არღვევს სახელმწიფოს, როგორც სულიერად, ასევე მატერიალურად.

ბიბლიის მიხედვითაც გაუმაძღრობა და ანგარება ხომ სასიკვდილო ცოდვად არის აღიარებული (!)

ყოველმა გამომძალველმა, მომხვეჭელმა უნდა იგრძნოს ბოლოს და ბოლოს, რომ უკანონო გზით მოპოვებული არავის შერჩება და ეს რომ მან იგრძნოს, დღემდე მიტაცებული თუნდაც ის, რაც ყველას დასანახად ჩანს, უნდა გადაეცეს სახელმწიფოს, როგორც საერთო-სახალხო ინტერესების დამცველს.

კანონიერების დაცვის გარეშე სახელმწიფო ვერ შენარჩუნდება. უკანონობის მორევში არა ერთი ცივილიზაცია თუ ქვეყანა შთანთქმულა...

არანაკლებ დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ სამამულო წარმოებას, სახალხო მეურნეობის ტრადიციულ დარგებს (მეღვინეობას, მეთამბაქოეობას, მეჩაიეობას, მეციტრუსეობას და სხვ.) ძირი გამოუთხარა საზღვარგარეთიდან უზომოდ ჭარბად და თანაც დაბალ ფასებში (დემპინგური პრინციპით) შემოტანილმა ანალოგიური დასახელების პროდუქციამ. მომხმარებლებისათვის ერთი შეხედვით ეს „უწყინარი" მოქმედება ბუმერანგივით უბრუნდება თვით საქართველოს, ხალხს და მიმართულია საზღვარგარეთიდან მიზანდასახული ჩანაფიქრით – დაიპყროს საქართველოს ბაზარი, მოსპოს ადგილობრივი წარმოება და კონკურენცია.

გარდა იმისა, რომ ამ მიზეზით ვერ ხერხდება სამამულო წარმოების ამოქმედება, რომელიც ასეულ-ათასობით მშრომელ ადამიანს დაასაქმებდა წარმოებაში, მილიონობით დოლარი გაედინება საქართველოდან უცხოეთში (შემოტანილი პროდუქციის რეალიზაციაზე დახარჯული), და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მათ შემოტანაზე საგადასახადო პირობების დარღვევის გამო სახელმწიფო ბიუჯეტს აკლდება უზარმაზარი თანხები, დადგა დრო, გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები – ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს სახალხო მეურნეობის ტრადიციული დარგების მეღვინეობის, მეთამბაქოეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის), ასევე მსუბუქი მრეწველობის (მაუდის წარმოება, მეაბრეშუმეობა, ტყავ-ფეხსაცმლის წარმოება და სხვა) დარგების აღორძინებას.

– მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს ალკოჰოლიანი სასმელების, სიგარეტის, ჩაის, ციტრუსების შემოტანაზე საქართველოში. უნდა მოხდეს მათი სათანადო დაბეგვრა. სესხების იმედზე კი, მით უფრო, თუ არ გამოვრიცხავთ ცალკეულ პირთა მიერ კრედიტების მითვისების შესაძლებლობას და სხვა მეორეხარისხოვანი ღონისძიებებით ქვეყანას ვერ ავაშენებთ, რადგან რაც მეტი სესხი და ვალი დაგვედება, მით უფრო დაკაბალებული აღმოვჩნდებით და რის თავისუფლებაზე შეიძლება გვქონდეს ლაპარაკი...

ეს პრობლემები მძიმე ლოდად აწევს დღეს საქართველოს და მათი გადაჭრის მიზნით ხელისუფლების მხრიდან აქტიური მოქმედების შემთხვევაში საქმეს კიდევ ეშველება და შექმნის ხელსაყრელ წინამძღვრებს სხვა ძირეული პრობლემების გადაჭრისათვის.

**ამირან ცქიტიშვილი**
ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი

# «რათ გინდათ პატარა აფხაზეთი, უმჯობესია დიდ საქართველოსთან იმეგობროთ»



„მოსკოვში ვიზიტით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კმაყოფილი ვარ აფხაზეთის ირგვლივ შექმნილი საერთო ვითარებით" – განაცხადა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თ.ნადარეიშვილმა „იპრინდა"-ს კორესპონდენტთან საუბარში.

ვიზიტის დროს თ.ნადარეიშვილი შეხვდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის აპარატის, მთავრობის, სახელმწიფო სათათბიროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, სხვადასხვა თანამდებობის პირებს. შეხვედრები დახურულ ხასიათს ატარებდა. გამომდინარე აქედან, თ.ნადარეიშვილმა ზედმეტი კომენტარებისაგან თავი შეიკავა, აღნიშნა მხოლოდ, რომ აფხაზეთის ა/რ უშიშროების საბჭო, რომელიც სულ რამდენიმე დღეა შეიქმნა, აქტიურად ჩაერთო შეხვედრებზე განხილულ საკითხთა გადაჭრაში.

ვიზიტის დროს საუბარი აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელებას შეეხო. აფხაზეთის ა/რ ლეგიტიმური ხელისუფლება მანდატის ვადის გაგრძელების კატეგორიული წინააღმდეგია. „ჩვენ მივაწოდეთ ჩვენი აზრი მმართველ წრეებს და ვუთხარით მათ – რათ გინდათ პატარა აფხაზეთი, უმჯობესია დიდ საქართველოსთან იმეგობროთ. ჩვენ ასევე დავაფიქსირეთ, რომ გვესმის რა არის რუსეთი, მისი პოტენციალი, მაგრამ 4 წელი საქართველო ხელგაწვდილი ვერ ივლის" – განაცხადა თ.ნადარეიშვილმა. მის აზრს დაეთანხმა შეხვედრების ზოგიერთი მონაწილე, თუმცა თ.ნადარეიშვილმა აქვე დასძინა, რომ მოსკოვში ისეთი დაპირისპირებაა ძალებს შორის, რომ ისინი ბევრ რამეში ვერ თანხმდებიან. (იპრინდა)

# ზუგდიდის ბატალიონი ყაზარმულ მდგომარეობაზე გადავიდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ზუგდიდის ბატალიონი, რომელიც ივლისის პირველი რიცხვებიდან გაძლიერებულ რეჟიმს იყო დაქვემდებარებული, 31 ივლისს, ღამის 22 საათზე, თბილისიდან მიღებული ბრძანების თანახმად, ყაზარმულ მდგომარეობაზე გადავიდა.

ეს ერთადერთი სამხედრო ფორმირებაა, რომელიც 12 კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონაში, ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზეა დისლოცირებული.

31 ივლისს ამოეწურა მანდატი აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ჯარებს, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში 1994 წლის ივლისში შეიყვანეს და დღემდე უგრძელდებოდა მანდატი ყოველ ექვს თვეში ერთხელ.

საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, იგი არ აპირებს მანდატის გაგრძელებას და რუსეთმა თავად უნდა გადაწყვიტოს სამშვიდობო ძალების გაყვანა-არგაყვანის საკითხი.

როგორც პრაიმ-ნიუსს განუცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი კობახიძემ, სამშვიდობო ძალების მანდატის ამოწურვასთან დაკავშირებით, „მოსალოდნელია ნებისმიერი პროვოკაცია რუსეთის მხრიდან".

1 აგვისტოს, დილით, შინაგანი ჯარების ზუგდიდის ბატალიონის მეთაურმა პრაიმ-ნიუსს აცნობა, რომ გუშინდელმა ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. (პრაიმ-ნიუსი)

# ხელისუფლებისაგან სიტყვიდან საქმეზე გადასვლას მოითხოვენ

„ჩვენი დღევანდელი შეხვედრა აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას შეეხება" – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საზოგადოებრივი მოძრაობა „აფხაზეთიდან დევნილთა კავშირი"-ს თავმჯდომარემ მურმან ბერიამ. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებას სურს რუსეთის სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონიდან გასვლა, მაგრამ ეშინია, რადგან ხელისუფლება მზად არ არის ამისათვის.

როგორც მ.ბერიამ აღნიშნა, გაერო-ს უშიშროების საბჭომ 6 თვით გაუგრძელა გაეროს მისიას აფხაზეთში ყოფნის ვადა, რაც კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების ვადის გაგრძელებასაც ნიშნავს. „ეს გვაფიქრებინებს იმას, რომ ჩვენს ზურგს უკან ფარული შეთქმულებაა" – განაცხადა მან. კავშირის წევრების პოზიციაა რუსეთის სამშვიდობო ძალების უპირობო გაყვანა. მ.ბერია თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უარი უნდა თქვას რუსეთის ბაზების საქართველოში ყოფნაზე.

დევნილთა ყრილობაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, მ.ბერიამ აღნიშნა, რომ დევნილები ოფიციალური სტრუქტურების მიერ ჩატარებულ ყველა ყრილობას ეჭვის თვალით უყურებენ, მაგრამ 8–9 აგვისტოს ყრილობაზე ისინი მონაწილეობას მიიღებენ „რათა ოფიციოზმა ერთხელ კიდევ არ მოატყუოს ხალხი" – განაცხადა მან. (იპრინდა)

# სანამ პავლე მოვიდა...

მხოლოდ თვენახევარი იარსება საგამოფენო დარბაზმა, რომელიც „საქინფორმის" გორის წარმომადგენლობის შენობაში გაიხსნა. პრეზენტაციის დღეს გორის მერი ორგანიზატორებს გამოფენის დაცვისთვის ხარჯების გამოყოფას შეპირდა. ადგილობრივ ხელისუფლებას რამდენჯერმე შეახსენეს დანაპირები, მაგრამ გორის მერიამ დაცვისთვის საჭირო სახსრები ვერ მოიძია.

14 ივლისს გათენებისას უცნობმა პირებმა გადაჭრეს შესასვლელ კარზე ბოქლომი და მოიპარეს ერთი ფერწერული ტილო და შვიდი ბზეში შესრულებული ორიგინალური ნამუშევარი.

ამჟამად აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იძიებს გორის საგამოძიებლო დეპარტამენტი. გორის მერია კი, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ბზის „ტუკებს" აგროვებს მხატვრებისთვის ზარალის ასანაზღაურებლად.

„საქართველოს" შ.ძ.ბ.

# აღარც ფიცი გვწამს!

ენგურჰესზე სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგაც გორის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 90%) ელექტროენერგიის გარეშეა. ენერგოკომპანია „გორის" ხელმძღვანელობა ამის მიზეზად დავალიანებას ასახელებს. დავალიანების დადგენა კი დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მოსახლეობა ელექტროენერგიის ღირებულებას ელექტრომრიცხველის მაჩვენებლების გარეშე – ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით, ყოველთვიურად ხუთიდან თხუთმეტ ლარამდე იხდიდა (საინტერესოა, ვიღასთვის აწესებენ კილოვატსაათის ღირებულების ტარიფებს), ელექტროენერგიას კი ბოლო 6–7 თვის მანძილზე თვეში რამდენიმე საათით იღებდა. მათივე განმარტებით, ენერგოკომპანია „გორი" მხოლოდ გორის მერიას ემორჩილება, მათთვის უცნობია და არაფერს ნიშნავს საქენერგოს გენერალური დირექტორის მოადგილის შოთა მაისურაძის და საქენერგოს გენერაციის ხელმძღვანელის ნოდარ ბადურაშვილის მიერ 17 ივლისს საქენერგოში გამართულ პრესკონფერენციაზე ნათქვამი, რომ ერთი თვის განმავლობაში მოსახლეობას შეუფერხებლად უწყვეტი გრაფიკით მიაწვდიდნენ ელექტროენერგიას, ხოლო ერთი თვის შემდეგ დაიწყება ტოტალური გამორთვები ურჩი გადამხდელებისთვის.

საკითხავია, როდემდე გაგრძელდება სხვადასხვა სოციალური პრობლემებით განაწამები გორის მოსახლეობის აბუჩად აგდება ენერგოკომპანია „გორისა" და მისი ხელშემწყობთა მხრიდან?

„საქართველოს" შ.ძ.ბ.

# გორის საზოგადოებრიობის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

ჩვენი სახელმწიფო, რომელმაც თავისი თითქმის ოცდაათსაუკუნოვანი იუბილე უნდა აღნიშნოს, უახლოეს წლებში დაადგა თანამედროვე დემოკრატიული განვითარების გზას და ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ევროპული ცივილიზაციის სრულყოფის საქმეში.

ამ გზაზე, რა თქმა უნდა, ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიწევს, რომელთაგანაც უპირველესია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

უდაო ჭეშმარიტებაა, რომ ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე უდიდესი მისია აკისრია საქართველოს პარლამენტს. მის მიერ მიღებულ კანონებზეა დამოკიდებული, ჩამოყალიბდება თუ არა საქართველოში დემოკრატიული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი ყველა სფეროში.

ისიც უდავოა, რომ ნებისმიერი ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია ამ ქვეყანაში თვითმმართველობის პრინციპის არსებობა, რაც გამოიხატება ადგილობრივი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევითობაში შესაბამისი ერთეულის მოსახლეობის მხრიდან და ამით მათი (მოსახლეობის) უშუალო მონაწილეობის უზრუნველყოფა ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში.

მიმდინარე, 1997 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლოს პარლამენტში განსახილველად შევიდა პრეზიდენტის შესაბამისი სამსახურებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა მიერ მომზადებული კანონპროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ", რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული სტატუსის მქონე ქალაქების მერებსა და რაიონის გამგებლებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი.

მიგვაჩნია, რომ ხელისუფლება უნდა ენდოს მოსახლეობას ქალაქებში და რაიონებში. ეს ხომ სწორედ ის ხალხია, ვინც მხარი დაუჭირა დღევანდელ პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს და ხმა მისცა მათ არჩევას ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში.

იგნორირება ადგილობრივი ამომრჩევლების პოლიტიკური ორიენტაციისა ადგილობრივი მმართველობის არჩევნების დროს, სხვა არა იყოს რა, შეურაცხმყოფელია იმ მოსახლეობისა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს რეგიონის მმართველობა და მმართველი.

დიდად ვაფასებთ დედაქალაქის როლს საქართველოს ძლიერებისა და კულტურული წინსვლის საქმეში, მაგრამ განა მხოლოდ თბილისია კადრების სამჭედლო, რომ მაინც და მაინც იქიდან გამოგზავნილი ან იქ შერჩეული, თუნდაც ადგილობრივი პიროვნება დაინიშნოს ადმინისტრაციული ერთეულის თავკაცად? დაინიშნოს და არა არჩეული იქნას?!

მოგიწოდებთ!

გაანალიზოთ შექმნილი სიტუაცია, განიხილოთ თქვენს ქალაქებსა თუ რაიონებში ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი და ერთად მივაწვდინოთ ხმა პრეზიდენტსა და პარლამენტს, რომელთაც უნდა მიიღონ კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და მოვითხოვოთ, რომ აღნიშნულ კანონში ყველა დონის (მათ შორის ქალაქის მერები და რაიონის გამგებლების) ხელისუფლება იყოს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეული.

მიღებულია: გორის საზოგადოებრიობის შეკრებაზე 29 ივლისს, 1997 წელს გორის სახელმწიფო თეატრში

# იუმორის გვერდი — წუთისოფელი

## ჩვენი სტუმარია მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ნინო ჩხეიძე



არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა

### შამპანური

1973 წელია და მარჯანიშვილის თეატრი ბათუმში მიიწვიეს საგასტროლოდ. მე



და ლენა ყიფშიძე ცოტა ადრე ჩავედით და დავბინავდით სასტუმრო „ინტურისტში". ერთ დღესაც გამოიპრანჭა ლენა, ჩაიცვა თეთრი ჯინსის ამერიკული შარვალი, თეთრი ფითქინა „კოფთა", თავზე წამოისკუპა ოქროსფერი პარიკი და შემომთავაზა გასეირნება.

გავედით ქალაქში, ზაფხულია, იწვის ყველაფერი, გადავწყვიტეთ ნაყინის მირთმევა და შევედით ერთ-ერთ კაფეში. მე დავწინაურდი შეკვეთის მისაცემად. ლენამ მაგიდასთან ადგილი დაიკავა და მელოდება. ის-ის არის ნაყინის ფულს ვილევ, ამ დროს მიახლოვდება სპორტული აღნაგობის ორი ახალგაზრდა ყმაწვილი. ერთმა მიიდო ვაჟკაცურად ხელი გულთან და მომმართა: – ქალბატონო ნატალია წართალია, ნატალია არ მქვია, მაგრამ მაინც შევხედე, რადგან ჩემი და მათ გარდა არავინ იდგა დახლთან), მე თქვენი ყოფილი მოწაფე ვარ, ლენასთან ერთად დავამთავრე სკოლა, თქვენ ჩემი მასწავლებელი იყავით და მინდა პატივი გცეთო. ამის შემდეგ ყმაწვილმა აილო უშველებელი თასით ნაყინი, რამდენიმე ბოთლი შამპანური, მიიტანა ჩვენს მაგიდასთან და თავის მეგობართან ერთად მოგვისკუპდა. მაგიდის იქით ისინი დასხდნენ, აქეთ ჩვენ ვიჯექით.

ლენამ ახედ-დახედა და უკმაყოფილო სახით უთხრა: – ყმაწვილო, ეს ქალბატონი ნატალია არ გახლავთ (ნატალია ლენას დედას ერქვა), ის დიდი უშანგი ჩხეიძის და არის, მსახიობი და ერთად ვმუშაობთ თეატრშიო.

– ოჰ, უკაცრავადო, – შეწუხდა ახალგაზრდა, ისევ ხელი მიიდო გულთან და რაინდული ჟესტით ბოდიში მოგვიხადა. მერე აილო ხელში შამპანური და დიდი ხმაურით გახსნა (ჯობდა არ გაეხსნა). ბოთლმა მოხაზა დიდი ტრაექტორია მაგიდის თავზე და ამ ჩემს ლენას მიეშვა გულ-მკერდსა და ოქროსფრად აბუჭუჭებულ პარიკზე, არ დაუტოვა არც კოფთა და არც თეთრი ჯინსები. ლენა ამ შამპანურის შადრევნის ქვეშ თევზივით აღებდა პირს, უნდოდა სიტყვის თქმა, მაგრამ არ გამოსდიოდა.

ეს ბიჭი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, უნდოდა ბოთლი ძირს ჩაედგა, მაგრამ ამის ნაცვლად მეც მომდგა და გვარიანად გამწუწა. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ნაყინის თასიც არ „დაინდო" და ისიც შამპანურით გაავსო.

ამის შემდეგ აბსოლუტურად სველები მე და ლენა უხმოდ ავდექით, არც საყვედური გვითქვამს, არც მადლობა (ან კი რაზე უნდა გვეთქვა, გაწუწვისათვის?) და დავტოვეთ ორი შეცბუნებული კაცი, რომელთა უკან იდგა მოსამსახურე პერსონალი და სიცილისაგან იგუდებოდნენ.

შამპანური ხომ ვერ დავლიეთ, ნაყინიც ვერ მივირთვით. ასე მივიღეთ მე და ლენამ ნაყინის მაგივრად ცივი შამპანურის „აბაზანები" გაგანია სიცხეში.

### მარად ახალგაზრდა

ერთხელ საშობაო გადაცემას ვამზადებთ თეატრალურ საზოგადოებაში. ეს გახლდათ ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ტყის კომედია", სადაც მთავარი მოქმედი გმირები თაგვები იყვნენ. გამოგვიძახეს მე, ლენა ყიფშიძე, შოთა მშვენიერაძე, ვაჟა ფირცხალაიშვილი მარჯანიშვილის თეატრიდან და ბადრი ბეგალიშვილი მუს.კომედიიდან. მე და ლენა ვთამაშობდით დედა თაგვებს. შოთა მშვენიერაძე სიძე თაგვი იყო, ვაჟა – შვილი თაგვი, ხოლო ბადრი ბეგალიშვილი ქურდი თაგვი. ვითამაშეთ რამდენიმე სპექტაკლი და ერთხელაც თეატრში მისულს ჩემს სახელზე დამხვდა რუსულად შევსებული უზარმაზარი კონვერტი. გავხსენი, შიგნითაც რუსულად წერია. ამას მე რა გამაგებინებს-მეთქი და სასწრაფოდ მივკუსკუსდი ლენასთან, წამიკითხე ერთი ვინ არის, რას მწერს, რა უნდა ჩემგან-მეთქი. მანამ, სანამ გავარკვევდით ვინ და რა იყო, კონვერტში ჩადებული სურათიც აღმოვაჩინეთ, საიდანაც ვიღაც გაჩხიკინებული, სათვალიანი, ნაავადმყოფარი სახის ბიჭი იყურებოდა. მისი შემხედავი იტყოდით, ერთი სულის შებერვაღა აკლია და წაიქცევაო.

ახლა რას მწერდა წერილში არ იკითხავთ? თურმე ეს საწყალი ყურებამდეა ჩემზე შეყვარებული (არ ვიცი ლენა რატომ არ მოუვიდა თვალში, ლენა ახლაც კარგია და მაშინ ხომ იყო და იყო). ჰოდა იფიქრა ამ უბედურმა სახალხო არტისტია, ჩავიგდე ხვითო ხელშიო, ექნება ამას ფული, ცხოვრება, პატარას „წავესტროჩკები", ეგება გამიმართლოს და მეც ავიწყობ ცხოვრებასო.

არ დაგავიწყდეთ, მე ამ დროს სამოცდაათი წლისა ვარ და ის ბიჭი კიდევ ოცდაათის. გვარს და სახელს ნამდვილად ვერ გეტყვით, ვაითუ წაიკითხოს და რევოლვერით ამომადგეს სახლში.



სიყვარულის ახსნასთან ერთად მწერს, სიმაღლით. ვარო ასოთხმოცდაათი სანტიმეტრიო, ორმოცდაათი კილო წონითო (საცოდავი) და თუკი რაიმეს წევრი იყო, წითელი ჯვრის, ტყის მეგობრის, ბუნების დაცვის, წყალში დამხრჩვალთა თუ არადამხრჩვალთა, თუკი სადმე გაეგლო, რომელიმე საზოგადოებაში, სუყველაში გაწევრიანებულა და ყველას ასლი დევს ქსეროქსზე გადაღებული ამ კონვერტში. თანაც რამოდენიმე სურათშია „გამოსკვანჩული" სხვადასხვა პოზაში და პეიზაჟში, ხან მანქანასთან, ხან ხესთან, ხან ბუჩქთან, სკამთან... ერთი სიტყვით „ჩაკარტოჩკებულია" კაცი აღმა-დაღმა და ჭკუაზე არ არის.

მწერს, ძალიან მიყვარხარო, უნდა გამომყვეო ცოლადო. აინტერესებს რა ქონების პატრონი ვარ, მანქანა მყავს თუ არა, მაქვს თუ არა აგარაკები მთაზე, ზღვაზე, მყავს თუ არა გავლენიანი ნათესავები ზემდგომ ორგანოებში აქეთ-იქით და ახლა იმასაც მწერს, რომ ძალიან მაინტერესებს და ვკვდები ინტერესისაგან, რამდენი გაქვს წელის გარშემოწერილობა, გულ-მკერდის (სანტიმეტრებში გაიზომე, არ მომატყუოო) და ყველაზე მთავარი, რა აზრის ხარ ქორწინების წინა ინტიმურ კავშირზეო. ერთი სიტყვით, ისეა გაგიჟებული და გაცოფებული ეს ოცდაათი წლის კაცი, რომ ქორწილსაც ველარ უცდის და კანკალებს ჩემი ნდომით.

ამის შესახებ რომ გაიგეს თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა, გაგიჟდნენ, ხარხარებენ, ხითხითებენ, დაოსდნენ სიცილისაგან. მე რა თქმა უნდა, სერიოზულად არ მიმიღია ჩემი „გაჩხიკინებული პაკლონნიკის" სიყვარულის ფეთებები, ვიფიქრე შტერია ვიღაცა, ორმოცი წლით უფროსს რავა მთხოვს ცოლობას ოცდაათი წლის კაცი, ჭკუიდან გადამდგარა ეს უბედური, ნამდვილად სამკურნალოა-მეთქი და ასე მივივიწყე ეს ამბავი.

გავიდა ერთი თუ ორი კვირა, თეატრში კრება მოიწვიეს. დარბაზში ზის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი, ადმინისტრაცია და უფროსობა. გადის საკითხი ასაკოვანი მსახიობების პენსიაზე გასვლის შესახებ. ჩამოთვალეს ისინი, ვინც საპენსიო ხალხი იყო და მეც აღმოვჩნდი ამ სიაში.

წამოხტა ცხონებული შოთა მშვენიერაძე და მიმართა თეატრის დირექციას – ვის უშვებთ თქვენ პენსიაში, ნინიკო ჩხეიძესო? კაცი ვენებს იჭრის ამის სიყვარულით, არ დაუღუპოთ ქალი, ბედი კარზე მოადგაო. სამოცდაათი წლის ქალს თხულობს ოცდაათი წლის კაცი და ახლა უშვებთ პენსიაშიო?

უნდა გენახათ, რა სიცილი და ხარხარი ატყდა დარბაზში. რა თქმა უნდა, ხალხი გაუშვეს პენსიაში, მე კი გადავრჩი, როგორც გასათხოვარს, არ შემეხო საპენსიო ასაკი. დღესაც თეატრში ვარ და ველოდები ჩემს ბედს, იქნებ გამომიჩნდეს შესაფერისი ასაკის თაყვანისმცემელი. ოცდაათი წლის კაცის მოხიბვლა არ გამჭირვებია და სამოცი წლისას მაინც ვერ დავახვევ თავბრუს?

### პატარა მსახიობი

მარჯანიშვილის თეატრში გადიოდა კოტა ბუაჩიძის არაჩვეულებრივი პიესა „ეზოში ავი ძაღლია". პრემიერაც და რიგითი სპექტაკლებიც ანშლაგით მიდიოდა. მშვენიერი მსახიობები თამაშობდნენ, მედეა ჯაფარიძე, ვახტანგ ნინუა, გივი ბერიკაშვილი, თენგიზ მაისურაძე... სოფიკო ხომ ბრწყინვალე იყო, მისი ცეკვის შემდეგ ტაში დიდხანს არ ცხრებოდა დარბაზში.

მე და ჩემი შვილიც ვმონაწილეობდით ამ სპექტაკლში. ჩემი შვილიშვილი ამ დროს პატარა იყო, სამი წლის. ბავშვის მიმხედავი არავინ გვყავდა და ამიტომ თეატრში მიმყავდა ხოლმე. როცა სცენაზე გავდიოდი, დავსვამდი კულისებში, სკამზე და ჩავაბარებდი სცენის მუშებს – თქვენი ჭირიმე, მიმიხედეთ, სცენაზე არ გამოვარდეს-მეთქი. დარბაზი ხომ სავსე იყო მაყურებლით და კულისებშიც უამრავი ხალხი იდგა, არამონაწილე მსახიობები, ტექნიკური პერსონალი, სცენის მუშები სიცილით იხოცებოდნენ სპექტაკლის მსვლელობისას.

მე ვთამაშობდი ცაცანას, სპეკულიანტს, შინაბერას. ჩემი პარტნიორი იყო გივი ბერიკაშვილი. სპექტაკლში გივის ვეხვეწები შემირთე-მეთქი. ის მეკითხება, რამდენი წლის ხარო და მეც ისე ვპასუხობდი, ვერ გაიგებდით ოცდათექვსმეტის ვიყავი თუ ორმოცდათექვსმეტის. შემოდიოდა სცენაზე სოფიკო – ქურთის გოგო, შენ კი არა მე უნდა შემირთოსო და იწყებოდა ჩვენი პაექრობა. მე ვეჭვიანობდი და ერთი სიტყვით არაჩვეულებრივი ტრიო იკვრებოდა ხოლმე – სოფიკო, გივი და მე. ჩვენი დიალოგების გამო მაყურებელი სიცილისაგან იგუდებოდა.

ერთხელაც, მიმდინარეობს სპექტაკლი, მე ვეხვეწები გივის შემირთე-მეთქი და ველოდებით სოფიკოს გამოსვლას, ის კი არ ჩანს. რა ვქნათ აღარ ვიცით მე და გივიმ. ჩემი შვილიშვილი, რა თქმა უნდა, კულისებში ზის, ჩაბარებული მყავს რამდენიმე მეთვალყურისათვის. ისიც ცნობისმოყვარეობისაგან აღარ არის. იმას კი ხედავს კულისებში რაც ხდება, მაგრამ ვერ ხვდება, დარბაზში ხალხი რატომ იცინის და უნდა მათი დანახვა. წამოიწევა სკამიდან, წაიგრძელებს კისერს, გამოკოსავს თავს და ის არის, უნდა გამოიხედოს პარტერში, რომ მე ამის შემხედვარე ვიწყებ ყვირილს ვაი, ვაი, ვაი, გავრბივარ სცენიდან, გამომეკიდება გივი, სად მიდიხარ ცაცანჯან, აქა ვარ შენი ალექსანდრე, მივალ ბოვშთან, საწყალს ჩავჯგელიმავ, დავსვამ ისევ თავის ადგილას და ვაგრძელებს სცენას.

ველოდებით სოფიკოს, ის კი არ ჩანს. თურმე ვერიკო ცუდად გამხდარა და სახლში გაქცეულა. ჩვენ კიდევ სიტყვებს წინ და უკან ვატრიალებთ, სად არის სარე, რატომ არ მოდის, ნეტა სად არის? ჩემს შვილიშვილს ჰგონებია, მე მეძებენო, გამოტუსტუსდა სცენაზე და მეუბნება – აქა ვარ ბებოო!

ეს რომ გივიმ დაინახა, თვალები დამიქაჩა და იყვირა: – რაო, შენ ბებიაც ხარ და თავს გასათხოვრად ასაღებ, ამხელა შვილიშვილი გყოლია, მატყუებ, გინდა შეგირთო და ცოლად მოგიყვანოო? ათი წუთი მე და გივის ისეთი დიალოგები გვქონდა, რაც საერთოდ არ ეწერა პიესაში, ამაზე რაღა უნდა მეთქვა, არ ვიცოდი და ხმა ვერ ამოვიღე.

გივიმ ხელში აიყვანა ბავშვი და სამივე სიმღერ-სიმღერით გავედით სცენიდან. მაყურებელმა ვერ გაიგო ჩვენი „ხულიგნობის" ამბავი, იფიქრეს, ალბათ, ასე იყო სათამაშო ეს სცენა და ამგვარად დავამთავრეთ. იმ დღეს ხალხმა ვერ ნახა სოფიკო ჭიაურელის არაჩვეულებრივი ცეკვა, მაგრამ მაინც მხიარული გავისტუმრეთ მაყურებელი, ისეთი ეფექტური იყო ამ პატარა გოგოს გამობაჩუნება სცენაზე.

მე კი, იცოცხლეთ, შიშის ფეთება მქონდა, რადგან ასეთი რამ აკადემიურ თეატრში არ ხდება.

ასე ახარხარა იმ საღამოს სპექტაკლზე მოსული ხალხი ჩემმა შვილიშვილმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთის სამშვიდობო ჯარებმა სტატუსთან ერთად პასუხისმგებლობაც დაკარგეს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ირინა სარიშვილი–ჭანტურია არ გამორიცხავს 31 ივლისის შემდეგ, როცა ამოიწურა რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის მანდატი აფხაზეთში, მდგომარეობის გამწვავებას კონფლიქტის ზონაში.

„დღეს რუსეთის სამშვიდობო ძალებს აფხაზეთში მანდატი ამოწურული აქვს, უსტატუსოდ დარჩენილი ჯარი შეიარაღებული ბანდაა, რომელსაც კონტროლი აღარ ევალება“, – თქვა სარიშვილი–ჭანტურიამ და დასძინა, რომ რუსეთის ჯარმა სტატუსის დაკარგვასთან ერთად პასუხისმგებლობაც დაკარგა“...

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი თვლის, რომ „რუსეთის ჯარმა, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობას იცავს, უნდა დატოვოს კონფლიქტის ზონა“, მაგრამ „სამშვიდობო ჯარების გასვლა სანახევროდ მიღებული ზომაა, რადგან რუსეთთან დაკავშირებული პრობლემა საქართველოში ამით არ იხსნება“. (პრაიმ–ნიუსი)

## მშიერმა ჯარისკაცებმა პასუხისმგებლობა დაკარგეს. კონტროლი?

დღეს უკვე არავისთვის არ არის უცნაური, რომ მანდატის ვადის გასვლის შემდეგ რუსეთის სამშვიდობო ძალები „შეიარაღებულ ბანდებად გადაიქცევიან“ (ი.სარიშვილი–ჭანტურია).

ეს საშიშროება სრულიად აშკარაა. ჩვენ ვიმოგზაურეთ ზუგდიდის და სვანეთის რეგიონებში. ვნახეთ, როგორ „მსახურობენ“ ამ ნაწილების სამხედრო მოსამსახურენი. არც მათი გარეგნული სახე და არც მათი ქცევა არ ტოვებს იმ შთაბეჭდილებას, რაც რუსეთის ჯარს უნდა ახასიათებდეს. ჯარისკაცები თხოულობენ პურს (!), სიგარეტს (ალბათ, ჯერჯერობით მხოლოდ თხოულობენ), რაც იმაზე მიუთითებს, რომ საამისოდ მათი უფროსობა არ ზრუნავს. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს ყველაფერი დაგეგმილია. მშიერ კაცს, თუ მას ხელში იარაღი უკავია, რისი გაკეთებაც (თუ გაფუჭება?) შეუძლია, კარგად მოგეხსენებათ.

დღეს კი ისეთი მდგომარეობაა, რომ ერთ პატარა შემთხვევას დიდი ტრაგედიების აზვირთება შეუძლია.

*P.S. ის, რაც ვნახეთ, იყო 31 ივლისს. დღეს უკვე 2 აგვისტოა.*

**პაატა მანჟულაშვილი**

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება ერთი 16 კვ.მ ოთახი. დახურული შუშაბანდით 6 კვ.მ, ტელეფონით. იტალიურ ეზოში. მეტრო „მარჯანიშვილთან“. ფასი შეთანხმებით: ტელ. 23–09–91

იყიდება 2 ოთახიანი არასტანდარტული ბინა გარაჟით და სარდაფით. ფასი 30000$ ტელ. 38–62–78

იყიდება ერთოთახიანი არასტანდარტული ბინა საბურთალოზე, ბახტრიონის ქუჩაზე. საერთო ფართი 50 კვ.მ ფასი 11000$ ტელ. 38–01–11

სასწრაფოდ ვყიდი რუსთავში ერთოთახიან ბინას. ფასი 1000$ ტელ. 63–63–25 ჰანრი

ვცვლი ორ ერთოთახიანს ერთ ოროთახიან ბინაზე. ბინა მდებარეობს ალმაშენებლის გამზირზე. მიკრორაიონებს ნუ შემოგვთავაზებთ (სასურველია დიდუბის რ–ნი). ტელ. 23–09–45

იყიდება 2 ოთახიანი არასტანდარტული გარემონტებული ბინა საბურთალოს ცენტრში. ფასი 28000$ ტელ. 38–01–11

იყიდება 4 ოთახიანი ბინა. მეტრო „დელისთან“. II სართ. 2 დიდი აივანი. ფასი 38000$ ტელ. 39–08–50

იყიდება გორგასალის ქუჩა 11–ში ერთოთახიანი ბინა 24 კვ.მ პირველ სართულზე, იტალიურ ეზოში. ტუალეტი საერთოა. ტელ. 72–47–48 იკითხეთ ნატაშა – ალას ბინა

იყიდება 3 ოთახიანი კერძო ბინა 100 კვ.მ ხეხილიანი ბაღით. სარდაფით, მარნით. საბურთალოზე, ლვოვის ქუჩაზე. ფასი 35000$ ტელ. 38–01–11

იყიდება 2 ოთახიანი ბინა სოლოლაკში, მაღალ ბელეტაჟზე, იტალიურ ეზოში. დადიანის №13–ში, ფასი 18000$ ტელ. 22–23–32 მანანა

იყიდება ერთოთახიანი ბინა „ვარკეთილის“ მეტროსთან მე–9 სართულზე. არის ბუნებრივი გაზი. ფასი 5000$ ტელ. 34–09–45

ქალაქის ცენტრში, რუსთაველზე, იყიდება პრივატიზებული ერთოთახიანი ბინა 14 კვ.მ ფართი, სამზარეულო საერთოა ერთ მეზობელთან, ტუალეტი საკუთარია. არის ფართი სააბაზანოს გაკეთების. აივანიც დიდია. ფასი 4500$ ტელ. 72–47–48 ალიკა ან ნატაშა

იყიდება გამოთავისუფლებული ფართი 100 კვ.მ 2 სართულიანი სახლის პირველ სართულზე. გამოდგება ოფისისათვის, მაღაზიისათვის და ა.შ. მის. რუსთაველის №34, არკაში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22–23–32 მანანა

იყიდება ვაკეში ერთოთახიანი ბინა, შატბერაშვილის ქ. №4. მე–II სადარბაზო, მე–2 სართული. ოთახი 23 კვ.მ, სამზარეულო 9 კვ.მ, ჭერი 3 მ.20სმ, აივნით, სარდაფით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 29–46–36

იყიდება ვაკეში საკუთარი სახლი ეზოთი. სახლი ბელეტაჟზეა, აქვს სარდაფები, ავტოსადგომი, ეზო. ტელ. 29–30–37; 29–31–25

იყიდება სამოთახიანი ბინა დიდ დიღომში, მე–5 სართულზე, თუხარელის პროექტი (მე–3 მკრ–ნი), კარფანჯრები არ აქვს. ფასი 3600$ ტელ. 95–30–47

## სხვადასხვა

სასწრაფოდ შევისყიდი გერმანული წარმოების გიტარას შეღავათიან ფასებში. ტელ. 64–76–77 მაიკო

იყიდება კონტეინერი 20 ტონიანი. ტელ. 22–21–95

იყიდება მაცივარი „ორსკი–8“. ფასი 400 ლარი.

პიანინო „პეტროფი“. ფასი 500$ ტელ. 38–01–11

გვყავს „დრათხარის“ ჯიშის მონადირე ძაღლის ლეკვები. თვენახევრის. ტელ. 34–60–84 ან 34–68–09

იყიდება საწყობი 40 კვ.მ, გამოფენის ტერიტორიაზე. საწყისი ფასი 5000$ ტელ. 95–30–47

იყიდება „გაზ21–06“ ჟიგულის მარკის მანქანის სახურავი და კარები. ტელ. 23–50–03

იყიდება 9 მმ ფანერა (3 ცალი), თითოს ფასი 13 ლარი (1.50/150). ტელ. 23–50–03

იყიდება უახლესი პროფესიონალური სტუდიის აპარატურის ინსტრუმენტი სეკვენსერით და ბარაბნების კომპიუტერით. შესაძლებელია გაყიდვა ცალ–ცალკეც. ტელ. 60–87–47

იყიდება საძინებელი „ჯინა“ (ბულგარეთის) 5 წლის; კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 95–30–47

შევასწავლი გიტარაზე სიმღერების დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველებს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 64–76–77 მაიკო

ვარ პედაგოგიური განათლებით. მოვუვლი ბავშვს 3 წლიდან (დავასვენებ აგარაკზე), შევასრულებ სახლის სამუშაოებს (დალაგება, დარეცხვა, სადილის, მურაბების გაკეთება და ა.შ.). ტელ. 99–73–68

## შევასწავლი

ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკის მსურველებს, ვერაზე, მეტრო „რუსთაველთან“. ტელ. 99–75–79, საბურთალოზე – 37–75–48 მანანა

## ქირავდება

ქირავდება 2 ოთახი, შესასვლელით, მარჯანიშვილის ქუჩაზე სამსართულიანის II სართულზე. ტელ. 95–42–02

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა ავეჯით, ტელეფონით, საბურთალოს ცენტრში. ფასი 200$ ტელ. 38–01–11

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა ქაშუეთის ეკლესიასთან. საჭირო ავეჯით და ტელეფონით. ტელ. 96–77–53, ავთო, ფასი 300$

თუ გსურთ შეიძინოთ მაღალი ხარისხის ელექტროაპარატურა, ფოტოაპარატურა და ტელეფონები, მიმართეთ პუშკინის ქ.№3–ში მაღაზია „ტინტას“, სადაც საქონლის ფართო არჩევანს შემოგთავაზებენ. მაღაზიის მენეჯერი ბატონი ედუარდი კი გაგიწევთ კონსულტაციას და აპარატურის შემოწმებას. არ დაგზარდებათ მცირე რემონტსაც.

აუდიტ სერვისი EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპრეს–აუდიტ სერვისი

ლიცენზირებულია №091

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო–სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება. 2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები. 3. ქონების შეფასება. 4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93–15–89

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

93–18–41

## საქართველოს პრეზიდენტის ბრიფინგი

„კონფლიქტის ზონაში არსებული სამშვიდობო ოპერაციების საკითხი დსთ–მ უნდა გადაწყვიტოს. თუ შედეგი არ იქნება მიღწეული, საქართველო უნდა შევიდეს წინადადებით და დსთ–მ და რუსეთმა თავისი მოვალეობა ამოწურულად უნდა ჩათვალოს“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის დასრულებისა და ამავე საბჭოზე განცხადების მიღების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე. პრეზიდენტი არ გამორიცხავს იმას, რომ სამშვიდობო ძალების გასვლის, ან დარჩენის შემთხვევაში, თავიდან ვერ ავიცილებთ გართულებებს. ასეთ დროს კი, საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების პრიორიტეტი, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ჩვენი სიმპათიები უნდა იყოს, რაც პრეზიდენტის თქმით, კონტაქტების გააქტიურების სახით უკვე დაიწყო. (იფრინდა)

## აფხაზეთის პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზები

აფხაზეთში ჩეჩენი ბოევიკების გამოჩენასთან დაკავშირებით ისაუბრეს თბილისში ახლახანს ვიზიტად მყოფ ჩეჩნეთის ვიცე–პრემიერ ა.ზაკაევთან.

„ჩეჩნეთს უნიკალური მდგომარეობა აქვს. ისინი სეპარატისტთა მხარეზე იბრძოდნენ, დღეს კი სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი საქართველოს ბედითა და მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობით“ – განაცხადა ე.შევარდნაძემ. პრეზიდენტი არ გამორიცხავს მაღალი დონის შეხვედრების ორგანიზებას როგორც ჩეჩნეთთან, ისე ინგუშეთთან და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებთან. (იფრინდა)

## ე.შევარდნაძეს ქართული ჯარი ეიმედება

ე.შევარდნაძის განცხადებით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დღეს შესწევთ უნარი, გართულების შემთხვევაში და ექსტრემალურ სიტუაციებში დაიცვან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა.

## „რუსეთის მხრიდან ზეწოლა არ ყოფილა“

სამშვიდობო ძალების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, ე.შევარდნაძის განცხადებით, მას პირადი საუბარი ბ.ელცინთან არ ჰქონია. გადაწყვეტილების მიღებაში კი ნამდვილად მონაწილეობს. მისივე თქმით, რაიმე ზეწოლა რუსეთის მხრიდან არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით მეგობარი ქვეყნების (რომელთა შორის რუსეთიც არის), თხოვნას არაჩქარების თაობაზე. (იფრინდა)

# ლატარეა ყველასათვის

**1 აგვისტოს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის" მოიგო შემდეგმა ნომრებმა:**

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – 501230; | 80 ლარი – *42696; |
| 1000 ლარი – 365615; | 80 ლარი – *28432; |
| 900 ლარი – 104204; | 70 ლარი – *33345; |
| 800 ლარი – 512337; | 70 ლარი – *91945; |
| 700 ლარი – 303563; | 60 ლარი – *13416; |
| 600 ლარი – 433682; | 60 ლარი – *96224; |
| 500 ლარი – 200565; | 50 ლარი – *37105; |
| 500 ლარი – 254624; | 50 ლარი – *28541; |
| 400 ლარი – 269974; | 40 ლარი – *82654; |
| 400 ლარი – 173814; | 40 ლარი – *18852; |
| 300 ლარი – 204703; | 30 ლარი – *88292; |
| 300 ლარი – 560469; | 30 ლარი – *24507; |
| 200 ლარი – 579618; | 25 ლარი – **3327; |
| 200 ლარი – 484630; | 20 ლარი – **0034; |
| 100 ლარი – 482383; | 10 ლარი – ***882; |
| 100 ლარი – 402832; | 10 ლარი – ***341; |
| 100 ლარი – 240496; | 10 ლარი – ***250; |
| 100 ლარი – 136078; | 1 ლარი – ***615; |
| 100 ლარი – 466947; | 1 ლარი – ***204; |
| 90 ლარი – *58816; | 1 ბილეთი – *****1. |
| 90 ლარი – *19886; | |

„ლატარია ყველასათვის" გათამაშდება ყოველ პარასკევს.

ოცდამეათე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

– 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00–16.00 სთ–მდე. 50 ლარის ზევით 11.00–12.00 სთ.

1997 წლის XXX ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **9050; 0220;** გათამაშებაზე შეუძლიათ 8 აგვისტოს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

## ● განვმარტავთ კანონს

## როგორ უნდა შევიძინოთ და როგორ შეიძლება დავკარგოთ საკუთრების უფლება

არსებობს საკუთრების შეძენის მრავალი საშუალება. აქედან ბევრი ყველასათვის კარგადაა ცნობილი. მაგალითად, რაიმე ქონების ყიდვა, მისი ჩუქებით, ანდერძით ან უბრალოდ მემკვიდრეობით მიღება. ქონებაზე საკუთრების უფლება შეიძლება წარმოიშვას გაცვლის საფუძველზეც. პატრონის სრულ საკუთრებას წარმოადგენს მის მიერ შექმნილი და დამზადებული ნივთი. მესაკუთრის სრული საკუთრებაა აგრეთვე მისი კუთვნილი ქონების გამოყენების შედეგად მიღებული პროდუქცია, ნაყოფი და სხვა ნებისმიერი შემოსავალი. იგივე უფლებები აქვს მესაკუთრეს დაქირავებული, ნათხოვარი ან იჯარით აღებული, ე.ი. დროებით სარგებლობაში არსებული ქონების გამოყენების შედეგად მიღებულ შემოსავალზეც. არსებობს საკუთრების შეძენის კიდევ ერთი საშუალება. კერძოდ, პირი, რომელიც არ არის ქონების მესაკუთრე, მაგრამ სათანადო რეგისტრაციის შემდეგ ამ ქონებას ფლობს კეთილსინდისიერად და დაუფარავად, ე.ი. თუ ეს ქონება მას მითვისებული არა აქვს თვითნებურად, მაშინ ეს პირი ხდება ამ ქონების მესაკუთრე. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ იგი ასეთ ქონებას ფლობდეს უწყვეტად სულ ცოტა თხუთმეტი წლის განმავლობაში. ეს ეხება უძრავ ქონებას (მაგ. სახლი, მიწის ნაკვეთი და ა.შ.), ხოლო სხვა ქონებას უნდა ფლობდეს ხუთი წლის განმავლობაში.

საკუთრების უფლების შეწყვეტის საფუძვლები თითქმის იგივეა, რაც საკუთრების შეძენისა. მაგალითად, ქონების გაყიდვა, გაჩუქება, ანდერძით ვინმესთვის გადაცემა (ქონების ვინმესთვის თხოვება ან გაქირავება არავითარ შემთხვევაში არ იწვევს საკუთრების უფლების შეწყვეტას). საკუთრების უფლება თავისთავად წყდება იმ შემთხვევაში, თუკი მესაკუთრის ქონება ფაქტიურად აღარ არსებობს, ე.ი. თუ იგი ფიზიკურად მოისპობა. გარდა ამისა, არსებობს საკუთრების უფლების შეწყვეტის სხვა მიზეზებიც, რომელთა ცოდნაც ყველასთვის აუცილებელია. მაგალითად, რაიმე ქონება შეიძლება შეძენილი იყოს კანონიერი გზით, მაგრამ კანონით დაუშვებელი იყოს მესაკუთრისთვის მისი საკუთრებაში ქონა. ამ შემთხვევაში ეს ქონება მესაკუთრეს არ ჩამოერთმევა, რადგან იგი კანონიერადაა შეძენილი, მაგრამ იგი ვალდებულია ასეთი ქონება გაასხვისოს, ე.ი. გაყიდოს ან გადასცეს სხვას ერთი წლის განმავლობაში. თუ მესაკუთრემ ერთი წლის ვადაში ეს ქონება არ გაასხვისა, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებით მას ეს ქონება ჩამოერთმევა იძულებით, მაგრამ აუცილებლად აუნაზღაურდება მისი სრული ღირებულება, რასაც გამოაკლდება ამ იძულებითი გასხვისებისათვის საჭირო ხარჯები.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებით მესაკუთრეს შეიძლება ჩამოერთვას ქონება და აუნაზღაურდეს მისი სრული ღირებულება. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული წესით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ან საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, სტიქიური უბედურების, ავარიების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების და სხვა საგანგებო შემთხვევებში. ამას ჰქვია საკუთრების რეკვიზიცია.

მესაკუთრეს შეიძლება ჩამოერთვას კუთვნილი ქონება ანაზღაურების გარეშეც, რასაც ჰქვია ქონების კონფისკაცია. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში. მაგალითად, თუ მესაკუთრემ ჩაიდინა დანაშაული ან სხვა სახის სამართალდარღვევა, ამის გამო პასუხისმგებლობის სახით შეიძლება ჩამოერთვას კუთვნილი ქონება.

შესაძლებელია ასევე კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ შემთხვევებში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებით მესაკუთრეს დროებით ჩამოერთვას ან შეეზღუდოს საკუთრების უფლება. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრის კუთვნილი ქონება არის დავის საგანი, ე.ი. თუ მესაკუთრეს ედავება ვინმე ამ ქონებას ან გასარკვევია, არის თუ არა იგი ამ ქონების კანონიერი მესაკუთრე, მაშინ ამ დავის გადაწყვეტამდე მესაკუთრეს უფლება არა აქვს გაყიდოს, გააჩუქოს ან ანდერძით დაუტოვოს ვინმეს ეს ქონება. იურიდიული ენით ამას ეწოდება სეკვესტრი.

ყოველმა მოქალაქემ თავისი ვალდებულებებისათვის პასუხი უნდა აგოს მის საკუთრებაში არსებული ქონებით. ე.ი. მოქალაქემ ვინმესთვის მიყენებული ზიანი და საერთოდ ყოველგვარი ვალი უნდა აანაზღაუროს თავისი ქონებიდან.

**ზურა ქიქიძე**

## ელდარ გოგოლაძის საქმე გამოძიებას დაუბრუნდა

„ელდარ გოგოლაძის საქმე გამოძიებას დაუბრუნდა, რადგან იგი სრულყოფილად არ იყო გამოკვლეული. ამაში ნაწილობრივ პროკურატურასაც მიუძღვის ბრალი, რადგან მან სათანადოდ არ ჩაატარა საპროკურორო ზედამხედველობა" – განაცხადა რესპუბლიკის პროკურატურაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა.

ელდარ გოგოლაძეს ბრალი ედება სისხლის სამართლის 188 მუხლის მეორე ნაწილით – ინფორმაციის მიღების შემდეგ არასათანადო ღონისძიებების გატარებისათვის.

გენ. პროკურორის მოადგილის თქმით, თუ რა უნდა გაეკეთებინა იმ პერიოდში ე.გოგოლაძეს რეალურად, რა არ გააკეთა და რატომ არ გააკეთა, ამაზე მას პასუხს გასცემს მიუკერძოებელი და მართალი სასამართლო. (იფრინდა)

## მოსახლეობა უკმაყოფილოა

სამოქალაქო მრჩეველების კომიტეტში სამგორის რაიონიდან შემოვიდა განცხადება ასი ხელმოწერით, რომელიც შეეხებოდა პენსიების, საოჯახო დახმარებების დაგვიანებას. ეს ფაქტი გახდა მიზეზი 1 აგვისტოს ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელთა შეხვედრისა სამგორის რაიონის პენსიონერებთან, ინვალიდებთან, მარტოხელა დედებთან.

როგორც რეგიონალურმა კოორდინატორმა ნუგზარ კუპრეიშვილმა გვაცნობა, შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ: ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის, ფინანსთა სამინისტროს, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს, სოციალური და სამედიცინო დაზღვევის ფონდის, სამგორის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები, რომელთაგან ბევრმა არ ისურვა მობრძანება. კუპრეიშვილის თქმით – „ფინანსთა სამინისტრომ შეგნებულად აარიდა თავი შეხვედრაზე მოსვლას".

პენსიონრებსა და მარტოხელა დედებს ესაუბრა და დასმულ შეკითხვებზე უპასუხა სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულიკო პაპლიაშვილმა. „ყველა დახმარების იდენტურობა არასწორია. პენსიები უნდა გაიცეს დამსახურების მიხედვით" – განაცხადა მან.

მოწვეულთა განმარტებებმა მოსახლეობა ვერ დააკმაყოფილა. მათ არ სჯერათ, რომ რაიონში მოსული საპენსიო და საოჯახო დახმარების თანხები სამართლიანად ნაწილდება. ითქვა იმის შესახებაც, რომ ფოსტალიონები პენსიის სახლში მიტანისათვის ფულს ითხოვენ. კონკრეტული ფაქტისა და პიროვნების ვინაობის დასახელებისაგან მათ თავი შეიკავეს.

შეხვედრის ინიციატორებმა მოუწოდეს მოქალაქეებს პროტესტის ცივილიზებული ფორმით გამოხატვისაკენ.

საზოგადოება „სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელებმა მოსახლეობას დახმარება, ასეთი შეხვედრების ხშირად მოწყობა და პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლაში თანადგომა აღუთქვეს.

თამარ აბსავა

## კროსვორდი



მარცხნიდან: 1. გეგმით მოსაწევი ნარკოტიკი (რუს.კავშ.); 3. „გაქლიბული" მატრაბაზი; 5. თვალებისფერი ხილი; 10. უჩინარი „გრაფის" მიერ დადგენილი განრიგი; 12. „შარიანი ვალით" ნაყიდი ჩასაცმელი; 13. „მათესთან" ჩხუბი; 14. სიგრძით თორმეტი გოჯი; 15. „არც ღამე" ისვენებდა, არც დღე ართობდა თბილისელებს; 17. პავლეს განუყრელი მეგობარი; 19. ცხოველთა თავშესაფარი „ომში"; 20. ვაზის და ცხოველთა საერთო; 21. „ლაქიანი" ღილი; 23. პრემიების მაძიებელი თანამდებობის პირი; 26. გვარის გამგრძელებელი; 27. „დარვინის" ციტრუსი; 28. ქალაქის თავი – გალაკტიონის მუზა; 29. თავისსავე დახლართულ ბადეში გაბმული; 30. „ამალიას" დაცვა; 31. ბაზარში გამოსაყენებელი ჰოლივუდის ვარსკვლავი.

მდგომიარედ: 2. „ალას დასტურით" სუფრაზე მოტანილი ღვინო; 3. „გამოსაქლიავებელი" ხილი; 4. „სონას გოგას" სამლოცველო; 6. არსენას სიგრძის საზომი; 7. ქალი, „ვერას" რომ ვერ გასცილდა; 8. მინდორი, სადაც „ია ლალად" ბიბინებს; 9. ზედა კიდური; 11. „დიმას" თამადობით მოწყობილი ქეიფი; 15. „არმილებული" საჩუქარი; 16. ქვეყანა, სადაც ბევრი „ნიგოზია"; 18. დიდ საბჭოეთში ერთი იყო, პატარა საქართველოში ასამდეა; 21. „ალას" სასმისი; 22. კანფეტი „რისია" რომ ვერ გაიგებ; 24. ოჯახის ფინანსთა მინისტრი მშობელი; 25. ხმის ბუნებრივი პაროდისტი.

ნუნუ ლოლაშვილი

## ნინა ნომრის პასუხები

თარაზულად: 5. ტრაქტატი; 6. პუანსონი; 9. სპრინტი; 10. სტეირი; 11. სტენდი; 15. კომენტარი; 17. აფენი; 18. ფერმა; 19. ბალანსი; 20. კაპრონი; 24. კულტი; 25. ქსანი; 26. ორბელიანი; 29. „მინდია"; 32. შტამპი; 33. ბამბუკი; 34. ანტრაქტი; 35. ანტურაჟი.

შვეულად: 1. ექსტრა; 2. ეტაპი; 3. ხუნტა; 4. ასკეტი; 5. „ტარტიუფი"; 7. იპოდრომი; 8. დიკენსი; 12. კომანდორი; 13. ტრამპლინი; 14. ანტანტა; 16. ბერნესი; 21. სუბსიდია; 22. კოლუმბი; 23. ანტიპოდი; 27. ჩინარი; 28. მტვერი; 30. ვახტი; 31. აკინი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444